ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 17 ივნისი, 2016 №142 (7068) ფასი: 50 თეთრი

## ბოლნისსა და მარნეულში ნაციონალების კანდიდატების წარდგენა ჩავარდა

გვ.2



## 17 ივნისიდან ქართული ჯადოსნური ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი




# „არჩევნების წინ მარგველაშვილი მერაბიშვილს შეიწყალებს“





გვ.2

რატომ შეხვდა პრეზიდენტი დახურულ კარს მიღმა გიგა ბოკერიას



## „მარგველაშვილი თუ მერაბიშვილს შეიწყალებს, პრეზიდენტს იმპიჩმენტს მოვუწყობთ“

მამუკა ტუსკაძე: „წულუკიანმა მოქალაქეები შეცდომაში შეიყვანა“



გვ.3

## „ივანიშვილს ბურჯანაძე-ინაშვილთან ვაჭრობა მოსწყინდა და მექიაური შექმნა“



გვ.3







ლევან ხაბეიშვილი: „ბედუკაძე-ხაჩიშვილი რუსული პენსიით ხალხს ვერ გადაიბირებენ“



## თორნიკე შარაშენიძე: „მერქელმა გვითხრა, დღეს არა, ხვალ გამოიარეთო!“



გვ.4

„ვიზალიბერალიზაცია ჩვენს ხელისუფლებაზე ზემოქმედებისთვის დასავლეთის ბერკეტია“

## ვიქტორ დოლიძე: „მერკელი თავის ოპოზიციასაც უწევს ანგარიშს“



გვ.2

„ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ახლა ბურთი ევროპის მოედანზეა“

## გერმანიის მთავრობა: მერკელს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების დაჩქარება სურს

გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტთან დაკავშირებით საკუთარ ვებგვერდზე ვრცელი მასალა გამოაქვეყნა.

– გერმანიასა და საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება სურთ, განაცხადა ანგელა მერკელმა ფედერალურ კანცელარიაში პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ. ამასთანავე, კანცლერი საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების პროცესის დაჩქარების სურვილს გამოთქვამს, – ნათქვამია მასალაში.


GEORGISCHER MINISTERPRÄSIDENT IN BERLIN

Merkel: Freund und guter Partner

Deutschland und Georgien wollen ihre wirtschaftlichen Kontakte weiter ausbauen, sagte Bundeskanzlerin Merkel nach ihrem Gespräch mit Ministerpräsident Kwirikaschwili im Kanzleramt. Die Kanzlerin wünscht sich zudem eine rasche Umsetzung der Visa-Liberalisierung mit Georgien.

Antrittsbesuch in Berlin: Bundeskanzlerin Merkel empfängt den georgischen Ministerpräsidenten Kwirikaschwili.

Foto: Bundesregierung/Kugler

Beim Antrittsbesuch des georgischen Ministerpräsidenten Giorgi Kwirikaschwili in Berlin hob Bundeskanzlerin Angela Merkel die sehr intensiven deutsch-georgischen Beziehungen

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ბერლინში შემდგარი ოფიციალური შეხვედრის დროს ანგელა მერკელმა ძალიან ინტენსიურ გერმანულ-ქართულ ურთიერთობებს გაუსვა ხაზი.

– ჩვენი დღევანდელი საუბარი ძირითადად განსაზღვრული იყო საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობებით, – განაცხადა კანცლერმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა კანცლერს გერმანიის საქართველოსადმი ძლიერი მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ გერმანულ-ქართული ურთიერთობები ბოლო წლების განმავლობაში ახალ საფეხურზე ავიდა.

მერკელმა საქართველოში ეკონომიკის სფეროში განვითარებული მოვლენები და ეკონომიკის ლიბერალიზაციის კუთხით განხორციელებული რეფორმები შეაქო და აღნიშნა, რომ ეს კარგი საფუძველი იქნება გერმანულ საწარმოებთან კონტაქტების კიდევ უფრო გასაღრმავებლად.

– ანგელა მერკელმა ისიც განაცხადა, რომ გერმანიაში ჯერ კიდევ არ აქვთ გაცნობიერებული, რაოდენ დიდ პროგრესს მიაღწია საქართველომ, განსაკუთრებით კი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და გამჭვირვალობის კუთხით, – აღნიშნულია მასალაში.

გიორგი კვირიკაშვილმა, რომელმაც დილით გერმანულ-ქართული ეკონომიკური ფორუმი გახსნა, განაცხადა:

– ფორუმში მონაწილეობას 150 ფირმა და საწარმო იღებდა. ეს არის იმის კიდევ ერთი დასტური, რომ ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობები უფრო მჭიდრო ხდება.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, საქართველოში 300-მდე გერმანული საწარმო მოქმედებს.

– მე ვფიქრობ, პოტენციალი კიდევ უფრო დიდია და მისი სრულად გამოყენება უნდა მოხდეს, – აღნიშნა მან.

ეს მასალა გერმანიის მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

მაგთიკომი
MAGTICOM

მაგთიკომი საქართველოში ერთადერთი ოპერატორია, რომელსაც შეუძლია, სრული საკომუნიკაციო მომსახურება შესთავაზოს მომხმარებელს

გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006

# ვიქტორ დოლიძე: „მერკელი თავის ოპოზიციასაც უწევს ანგარიშს“

## „ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ახლა ბურთი ევროპის მოედანზეა“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი **ვიქტორ დოლიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრემიერ კვირიკაშვილის გერმანიაში ვიზიტზე საუბრობს.

***– ბატონო ვიქტორ, ცნობილია, რომ გერმანია სკეპტიკურად განწყობილი ქვეყანაა, რაც მაპის საკითხთან დაკავშირებით ახლა ვიზალიბერალიზაციის პროცესში გამოჩნდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ გერმანიაში პრემიერ კვირიკაშვილის ვიზიტი დაგვიანებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ კანცლერთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მერკელმა ვიზალიბერალიზაციაზე თანხმობა განაცხადა?***

– გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ საქართველომ ზედმიწევნით კარგად და სწორად შეასრულა ყველა აღებული ვალდებულება, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით იყო ეს გათვალისწინებული თუ თავის დროზე ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმებით. ამას აღნიშნავს საერთაშორისო თანამეგობრობა, მათ შორის ევროკომისიასა თუ ევროპარლამენტში.

ახლა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები, ბურთი სწორედ ევროკავშირის მოედანზეა. ცოტა ხნის წინ დავბრუნდი სტრასბურიდან და ბრიუსელიდან, სადაც ვიზიტით მყოფ საქართველოს პრეზიდენტს ვახლდი და ყველამ აბსოლუტურად ერთხმად აღნიშნა, რომ ჯერი ახლა მათზეა, გადადგამენ თუ არა ისინი საქართველოს მიმართ ახლა ამ ნაბიჯს.

რაც შეეხება თქვენი კითხვის ნაწილს გერმანიის სკეფსისთან დაკავშირებით, უნდა გითხრათ, რომ გერმანიაში ახლა წინასაარჩევნო პერიოდია. არიან პოპულისტური პარტიები, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. მათი დამოკიდებულება მიგრანტებთან დაკავშირებით და კარის ღიაობის პრინციპთან ძალიან მძაფრია. ისინი აქცენტს ტერორიზმის საფრთხეზე აკეთებენ და ამიტომ ღია კარის პრინციპის წინააღმდეგ გამოდიან და ამ პოლიტიკის გამო ძალიან აკრიტიკებენ ანგელა მერკელს. შიდა პოლიტიკური მოხმარებისთვის ძალიან რთულია, გერმანიის კანცლერი უცებ დათანხმდეს ვიზების ლიბერალიზაციას.



***– გამოდის, ანგელა მერკელი თავის ოპოზიციასაც უწევს ანგარიშს?***

– ცხადია.

***– სკეპტიკოსთა რიგებში სხვებიც არიან, მაგალითად, საფრანგეთი, იტალია.***

– პროცედურულად 4 ქვეყანას არ უნდა აღემატებოდეს იმ ქვეყნების რიცხვი, ვინც უარს გვეტყვის. შენგენის ზონის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები როდესაც მიიღებენ გადაწყვეტილებას, ევროკომისიაში 4 ქვეყანა არ უნდა იყოს წინააღმდეგი, 3 ქვეყანაც რომ იყო წინააღმდეგი, საკითხი გავა. გერმანია, საფრანგეთი და ბელგია უარზე რომ იყვნენ, ვიზალიბერალიზაციას მაინც მივიღებთ, მაგრამ იტალიამ უნდა დაგვიჭიროს მხარი. სამწუხაროდ, ბოლო სხდომაზე იტალია წინააღმდეგ წავიდა, თავი შეიკავეს.

***– ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ არჩევნებამდე მივიღებთ ვიზალიბერალიზაციას. თქვენც ასეთი განწყობა გაქვთ?***

– მე იმედი მაქვს, რომ არჩევნებამდე ჩვენ კიდევ უფრო აგრესიულ დიპლომატიურ სამუშაოებს ჩავატარებთ. კარგია, რომ პრემიერი კვირიკაშვილი შეხვდა ქალბატონ კანცლერს, ასევე კარგი იყო, რომ პარლამენტის თავმჯდომარე იმყოფებოდა გერმანიაში ვიზიტით. ამ თვის ბოლოს პრეზიდენტი მარგველაშვილი აპირებს გერმანიაში ვიზიტს. ყველანაირად, ყველა დიპლომატიური მეთოდის გამოყენებით ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან უნდა ვიმუშაოთ, რათა ისინი დავარწმუნოთ.

***– შეჩერების მექანიზმზე მინდა გკითხოთ, რაზეც პრესკონფერენციაზეც გაამახვილა ყურადღება მერკელმა.***

– ეს მექანიზმი ისედაც არის ჩადებული და ამაში რაიმე განსაკუთრებულს ვერ ვხედავ. შეთანხმებაში ცალკე პუნქტად რომც არ ჩაიდოს, შეჩერების მექანიზმი მაინც არსებობს ეს. მაგალითად, გერმანიას აქვს ყველა ბერკეტი, რომ შეაჩეროს უვიზოდ მიმოსვლა ნებისმიერ ქვეყანასთან და ეს მექანიზმი აქვს ევროკავშირის სხვა ნებისმიერ ქვეყანას. ეს უფრო შიდა მოხმარებისთვის სჭირდებათ ევროპელ ლიდერებს და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, მაგრამ აქვე უნდა ვთქვა, რომ გადაწყვეტილების მიღების შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს შეჩერების მექანიზმი და მასზე ცალკე არ უნდა იყოს მსჯელობა, მით უფრო – დამტკიცება.

***– ცალკე რომ არ ვართ, უკრაინასთან ერთ პაკეტში მოქცევა რამდენად ხელსაყრელია ჩვენთვის?***

– საქართველო, კოსოვო, თურქეთი და უკრაინა ერთ პაკეტშია მოქცეული. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, მაგრამ ინდივიდუალური მიდგომა უნდა იყოს. მიდგომა უნდა იყოს დაფუძნებული იმაზე, თუ ვინ როგორ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. ჩვენთვის პროცესის შეჩერება მხოლოდ იმიტომ, რომ სხვამ არ შეასრულა, არ შეიძლება.

მაგალითად, თურქეთს მრავალპუნქტიანი შეთანხმება აქვს მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, რაღაცას შეასრულებს, რაღაცას – არა. კანდიდატი ქვეყანაა, მაგრამ წლებია, პროცესი გრძელდება. ჩვენ ეს პრობლემა არ გვიდგას და ამიტომ ტექნიკურად მასთან მიბმა არასწორია. რაც შეეხება უკრაინას, მე მათ ყოველთვის ვუჭერ მხარს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ გამო ჩვენ უნდა გავჩერდეთ.

***– წლებია, საუბარია გერმანიის კანცლერის ჩამოსვლაზე. თუმცა, ვხედავთ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრ შტაინმაიერის დონეზეა ეს ვიზიტები. წლების განმავლობაში გერმანიის პირველი პირის ვიზიტი საქართველოში არ ყოფილა. რა შეიძლება ამის მიზეზი იყოს?***

– ახლა პრემიერმა კვირიკაშვილმა, მანამდე სხვებმაც, მოიპატიჟა ქალბატონი კანცლერი და კარგი იქნება, თუ მერკელი ამ მოწვევას მიიღებს და ჩამოვა. უფრო მეტი დიპლომატიაა საჭირო, რაც შეიძლება მეტი კონტაქტი და კომუნიკაცია, თავი არ უნდა მოვაბეზროთ, მაგრამ აქტიურობა საჭიროა. თუ აქტიურობას არ გამოვიჩენთ, ჩვენთვის არავინ მოიცლის.

# ბოლნისსა და მარნეულში ნაციონალების კანდიდატების წარდგენა ჩავარდა

ბოლნისსა და მარნეულში ნაციონალურმა მოძრაობამ მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა. პარტიის ლიდერშიფი ღონისძიებას დაესწრო, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობას ინტერესი არ გამოუხატავს. ბოლნისის კულტურის სახლში სამირა ისმაილოვას წარდგენას 50-მდე მხარდამჭერი ესწრებოდა.



ვარაუდობენ, რომ ისმაილოვას მიმართ ელექტორატის დაბალი ინტერესი თავად კანდიდატის დაბალმა რეიტინგმა განაპირობა. ენმ-ს ლიდერშიფიდან ღონისძიებას დათო ბაქრაძე, ნიკა მელია, კობა ხაბაზი და ირმა ნადირაშვილი ესწრებოდნენ.

მხარდამჭერების მობილიზება ნაციონალებმა ვერც გარდაბანში შეძლეს რამინ ბაიარომოვის დროს. ღონისძიება ჩავარდა ასევე მარნეულში აზერ სულეიმანოვისა და აკმამედ იმიმკულიევის (ასევე მარნეული) წარდგენების დროს. ნაციონალების ლიდერშიფი ხალხის სიმცირის გამო უკმაყოფილებას პირად საუბრებში არ მალავდა.

პარტიის ლიდერები არ გამორიცხავენ, რომ მცირე მხარდაჭერის გამო სულეიმანოვმა საარჩევნო სიაში მეორე ათეულიდან გაცილებით უკანა პოზიციებზე გადაინაცვლოს. ამ კონტექსტში კიდევ უფრო საინტერესო ხდება დავით ბაქრაძის ყიზილალჯოში ჩასვლა და „კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს“ წარმომადგენელთან შეხვედრა.

ბაქრაძე ალი ალიევს სახლში ესტუმრა. ცნობილია, რომ ალიევი პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ მოძრაობას უჭერს მხარს.

# „არჩევნების წინ მარგველაშვილი მერაბიშვილს შეიწყალებს“

## რატომ შეხვდა პრეზიდენტი დახურულ კარს მიღმა გიგა ბოკერიას

შორენა მარსაგიშვილი

გიორგი მარგველაშვილისა და „ქართული ოცნების“ სიამტკბილობის ეტაპი დასრულდა. რამდენიმე დღის წინ მედიასთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ შემოეკრიტიკა. ამ კრიტიკიდან რამდენიმე დღეში მარგველაშვილი დახურულ კარს მიღმა შეხვდა გიგა ბოკერიას, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ კი ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ მიშა მაჭავარიანის უფროსი ძმა, ვანო, დანიშნა.

რამდენად უკავშირდება ეს ყველაფერი ივანიშვილის კრიტიკას, ვერ გეტყვით, მაგრამ უკვე გაჩნდა ჭორები, რომ ბოკერია მარგველაშვილს მერაბიშვილის შეწყალებაზე ესაუბრა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ბოკერია-მარგველაშვილის შეხვედრას ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევენ.

– ვისი ინიციატივით ინიშნება ასეთი შეხვედრები, ჩემთვის ნამდვილად არ არის ცნობილი. ეს არ იყო პირველი, ერთადერთი და გამონაკლისი შემთხვევა, შესაბამისად, ამაში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ. რაც შეეხება იმას, თუ რა საკითხები განიხილებოდა, 16 ივნისის შეხვედრაზე მე არ ვიყავი, შესაბამისად, ნამდვილად ვერ გეტყვით, რაზე იყო იქ საუბარი. ეს იყო დახურულ კარს მიღმა შეხვედრა, რაც ძალიან ჩვეულებრივი ამბავია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, – განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ.



მისი თქმით, გიორგი მარგველაშვილი შეშფოთებული ყოფილა სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებით.

– სახელმწიფოსთვის ასეთ დამაზიანებელ გადაწყვეტილებას ჰყავს უშუალო პასუხისმგებელი პირები სამართალდამცავ და სასამართლო სისტემაში. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ უნდა დადგეს ამ პირების სამსახურებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, – აღნიშნა მიშველაძემ.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ამტკიცებს, რომ ძალიან მალე გიორგი მარგველაშვილი მერაბიშვილს შეიწყალებს.

– რამდენიმე დღის წინ მარგველაშვილის მრჩეველმა ფიქრია ჩიხრაძემ ისეთი განცხადებები გააკეთა, სერიოზული ეჭვი გამიჩნდა, რომ პრეზიდენტი მერაბიშვილის შეწყალებას აპირებდა. 16 ივნისს პრეზიდენტი დახურულ კარს მიღმა შეხვდა ბოკერიას. მისი აზრით, სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოსთვის დამაზიანებელია. ამით დადასტურდა ის ინფორმაცია, რომ მერაბიშვილის შეწყალება იგეგმება, – აღნიშნავს „ახალ თაობასთან“ საუბარში მჟავანაძე.

მისი ვარაუდით, შეწყალება არჩევნების წინ მოხდება, რაც „ქართული ოცნებისთვის“ დამაზიანებელი იქნება.

– ნაციონალებს სტრასბურის სასამართლოს იმედი ჰქონდათ, მაგრამ მათ გამოტანილ გადაწყვეტილებაში არსად წერია, რომ მერაბიშვილი უკანონოდ არის დაპატიმრებული. ასეთი რამე ისეთმა მიკერძოებულმა ორგანიზაციამაც ვერ აღმოაჩინა, როგორიც საიაა. ახლა მთელი იმედები მარგველაშვილზეა, რომელიც არჩევნების წინ შეიწყალებს მერაბიშვილს, რითაც „ქართულ ოცნებას“ გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს, – აღნიშნავს უფლებადამცველი.

# სექტემბრიდან თბილისში ტროტუარებზე პარკირება აიკრძალება

სექტემბრიდან თბილისში ტროტუარებზე პარკირება აიკრძალება.

დავით ნარმანიას გადაწყვეტილებით, ზაფხულში „სითი პარკს“ ტროტუარებზე დარჩენილ 1.500 ადგილს ჩამოართმევენ და აღნიშნულ ტერიტორიას ფეხით მოსიარულეებისათვის გაათავისუფლებენ. მერიაში აცხადებენ, რომ „სითი პარკმა“ მოსახლეობას ალტერნატიული პარკირების ადგილები უნდა შესთავაზოს.

როგორც „სითი პარკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადეს, გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ სად იქნება და სად არა პარკირების ადგილები, იღებს თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახური და არა კომპანია.

– „სითი პარკი“ არ ფლობს პარკირების ადგილებს. ეს არის ქალაქ თბილისის მერიის საკუთრება. კომპანია მხოლოდ ოპერირებას ახორციელებს. მერიის გადასაწყვეტია, იქნება თუ არა ტროტუარებზე პარკირება. გაუქმების შემთხვევაში, რა ალტერნატივას შესთავაზებს მოსახლეობას, ამასაც მერია განსაზღვრავს.

თუ დავით ნარმანია მიიღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ადგილზე პარკირების აკრძალვის შესახებ, „სითი პარკი“ ამ განკარგულების შესაბამისად მოიქცევა, – აღნიშნავს „სითი პარკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლევან ტაბიძე.

ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილს ბურჯანაძე-ინაშვილთან ვაჭრობა მოსწყინდა და მეჭიაური შექმნა“

## ლევან ხაბეიშვილი: „ბედუკაძე-ხაჩიშვილი რუსული პენსიით ხალხს ვერ გადაიბირებენ“

შორენა მარსაგიშვილი

გადაიბირებს თუ არა ვიზალიბერალიზაციის შეფერხების ფონზე დაპირებული რუსული პენსია ხალხს, რატომ მრავლდებიან პრორუსული პარტიები, ვის აქვს პოლიტიკური ველი ოკუპირებული? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ხაბეიშვილი** ესაუბრება.

***– ბოლო პერიოდში პრორუსული პარტიების მატება და გააქტიურება შეინიშნება. ეს ვიზალიბერალიზაციის შეფერხებას უკავშირდება თუ კიდევ რაიმე ხდება ჩვენს თავს?***

– ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ვიზალიბერალიზაცია შეეფერხებინათ, თუმცა პრორუსული ძალების გააქტიურება ამას არ უკავშირდება. პრორუსულები საქართველოში ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გააქტიურდნენ. თავად ყოფილი პრემიერი, ახლა ქვეყნის პირველი მოქალაქე რომ არის, რუსეთის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. ამან შედეგად მავთულხლართების გადმოწევა და ადამიანების გატაცება მოიტანა. ცოტა ხნის წინ კი ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოგვიკლეს ჩვენი მოქალაქე. მინდა ყველამ იცოდეს, რომ რუსეთთან ლოიალურ დამოკიდებულებას სიკეთე არ მოაქვს.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში ძალიან საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. 2012 წლამდე ღიად პრორუსული მარტო 2 პარტია იყო – დემოკრატიული მოძრაობა და პატრიოტთა ალიანსი. ახლა მათ მეჭიაურისა და ბედუკაძე-ხაჩიშვილის პარტიები დაემატნენ. რუსული პარტიების რაოდენობის გაზრდა პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებშია.

***– რაში უნდა აწყობდეს ივანიშვილის პრორუსული პარტიების რაოდენობის გაზრდა?***

– ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში ამომრჩევლის 20% პრორუსულად არის განწყობილი. ივანიშვილს ამ 20%-ის მიმხრობა უნდა. ეს არის ჩვეულებრივი ვაჭრობა საპარლამენტო არჩევნების წინ. აქამდე მარტო 2 პრორუსული პარტია გვყავდა და პირველი მოქალაქე იძულებული იყო, მათ დალაპარაკებოდა. არც ისაა დამალული, რომ პარტიები ყოფილ პრემიერთან ვაჭრობენ.

ივანიშვილს, ეტყობა, მოსწყინდა ბურჯანაძესთან და ინაშვილთან ვაჭრობა. ამიტომაც შექმნა მეჭიაურის პარტია. ამ უკანასკნელის სახით ასპარეზზე უფრო რადიკალი პრორუსები გამოვიდნენ.



***– უფრო რადიკალური პრორუსულობა რით გამოიხატება?***

– ინაშვილი ბოლო პერიოდში რუსეთთან დაკავშირებით სხვა განცხადებებს აკეთებს, ბურჯანაძეც აქა-იქ ახსენებს ევროპას, მეჭიაურის პარტია პირდაპირ პრორუსულია და ამტკიცებს, რომ ევროპა ქართველობას გვართმევს. პარტიის შემქმნელებს იმედი აქვთ, რომ ასეთი განცხადებებით ბურჯანაძისა და ინაშვილის ხმებზე დასხდებიან.

სულ ახლახან გამოჩნდა ლადო ბედუკაძისა და თემურ ხაჩიშვილის პარტიაც, რომელიც კიდევ უფრო რადიკალურად პრორუსულია. ამ პარტიის შექმნა ბევრ კითხვას პასუხობს. მისი ერთ-ერთი ლიდერი არის ლადო ბედუკაძე, რომლის სახელსაც უკავშირდება 2012 წლის ცოცხების კადრების გავრცელება. ამ კადრებთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობდა. ყველას აინტერესებდა, ვისი დაკვეთით მოხდა ამ ფირების გადაღება-გავრცელება.

***– ამას დაკვეთა რად უნდოდა, ციხეებში რომ მძიმე მდგომარეობა იყო, ამის შესახებ ყველამ იცოდა.***

– მე არ ვამტკიცებ იმას, რომ ციხეებში არაფერი შავდებოდა. იქ იყო ბევრი პრობლემა, რომელიც გამოსასწორებელი იყო და მათი ნაწილი დღემდე არ არის გამოსწორებული. ამ შემთხვევაში თავად ციხის კადრების წარმომავლობაზე ვსაუბრობ და, თუ ვინმეს რამე კითხვა ჰქონდა, ამას ბედუკაძის მიერ პარტიის შექმნამ პასუხი გასცა. ეს ადამიანი გამოვიდა და ღიად თქვა, რომ არის პრორუსი და საქართველოს მომავალს ევრაზიულ კავშირში ხედავს. ამით მან ლუსტრირება მოახდინა, თუ ვისი დაკვეთით მოხდა ციხის კადრების გადაღება-გავრცელება.

ვინმეს თუ კიდევ დარჩა კითხვა, ვეტყვი, რომ ცოცხების კადრების გავრცელება აწყობდა რუსეთს. სწორედ მათ შექმნეს ეს ვიდეოები, მერე თავადვე გაყიდეს და ქართველებს მოგვაწოდეს. ყველაფერი კარგად გათვალეს. რუსეთში შესანიშნავად იცოდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობა წამსვლელი იყო. ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და ასეთ ქვეყანაში ათწლეულების განმავლობაში ხელისუფლების სათავეში ერთი გუნდი არ ზის. ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლებოდა, მაგრამ რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ვინ შეცვლიდა ნაციონალურ მოძრაობას. ამაში რუსეთი „დაგვეხმარა“ და სასურველი შედეგის მისაღებად ჩვენთვის მგრძნობიარე თემები გამოიყენა.

ევროპაზე უარი რომ ვთქვათ, ახლაც ათასგვარ სიბინძურეს იგონებენ და ისეთ პროპაგანდას ეწევიან, თითქოს ევროპა დაგვღუპავს. ხელისუფლებას დეკლარირებულად ევროპული კურსი აქვს გამოცხადებული, მაგრამ ყველაფერს აკეთებს, იქ რომ არ მიგვიღონ. მერე გამოვლენ და გვეტყვიან, ყველანაირად ვეცადეთ, მაგრამ ჩვენზე უარი თქვა ევროპამ, ამიტომ მეზობელთან დავამყაროთ კარგი ურთიერთობაო.

***– თქვენ პრორუსული ძალების მომრავლებას პრორუსულად განწყობილი ამომრჩევლის ხმებზე დაჯდომის მცდელობად აფასებთ, მაგრამ უფრო სერიოზულად ხომ არ არის საქმე? ბედუკაძის პარტია ხალხს რუსულ პენსიას ჰპირდება, რომელიც ქართულ პენსიაზე მეტია. ამით გაჭირვებაში მყოფი პენსიონერების გულებს ხომ არ მიიღებენ?***

– არა, ასეთი რამეებით ხალხი აღარ მოტყუვდება. 2012 წელსაც ისარგებლეს ხალხის გაჭირვებით. მაშინაც სერიოზული დაპირებები იყო. მილიარდერმა ივანიშვილმა ვერ შეასრულა ის, რაც თქვა და ხალხი ბედუკაძეს დაუჯერებს? გამორიცხულია.

ჩვენი პოლიტიკოსების უმეტესობა ერთ დიდ შეცდომას უშვებს, მათ ჩვენი მოსახლეობა ჰგონია გაუნათლებელი. ვიცი, რა საშინელ დღეში არიან პენსიონერები, მაგრამ მჯერა, რომ არცერთი მათგანი არ მისცემს რომელიმე პარტიას ხმას რუსული პენსიის ხათრით. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება იყო 5 მილიონი ყველა სოფელს. ამ ხაფანგში ბაბუაჩემიც გაება. ჩოხატაურში არის სოფელი დაბლაციხე. აქ სულ 10 ადამიანი ცხოვრობს, რომ გადათვალეს, თითოს ნახევარი მილიონი ერგებოდა, მაგრამ არაფერიც არ მიიღეს.

ეს მაგალითი იმისთვის მოვიყვანე, რომ ხალხის მოტყუება ასე მარტივი აღარ იქნება და ქართველი ხალხი ძალიან პრაგმატულ არჩევანს გააკეთებს. ტყუილი დაპირებები და იმ პოლიტიკოსების ეპოქა უნდა დასრულდეს, რომლებიც 25 წელია ქვეყნის სათავეში არიან, მათ აღარაფერი შეუძლიათ და მოტივაცია აქვთ ნული.

***– რატომ გგონიათ, რომ მოტივაცია ნული აქვთ?***

– ამ 25 წლის განმავლობაში ყველა სიკეთე ნახეს. ერთმანეთთან ბოლომა და შურისძიება აკავშირებთ. ეს პოლიტიკური კლასი თუ არ შეიცვალა, საქართველოს პოზიტივი არ ელოდება. მე იმას არ ვამბობ, რომ ამ ადამიანებს ან ინტელექტი აკლიათ, ან გონიერები არ არიან, მაგრამ მათ პოზიტივი აღარ გააჩნიათ და საქმის კეთება არ შეუძლიათ.

ამ ხალხს პოლიტიკური ველი ოკუპირებული აქვს და ზოგიერთ რაიონში 15-20 წელია, ერთი და იგივე მაჟორიტარობის კანდიდატები იყრიან კენჭს. ასეთი პოლიტიკოსები საქართველოს ვერ გადაარჩენენ. საქართველოს ერის კონსოლიდირება სჭირდება. ყველა, ვისაც პროდასავლური არჩევანი აქვს, უნდა გავერთიანდეთ. მესიებს ტყუილად ველოდებით, ჩვენს გასაკეთებელს მაინც ვერავინ გააკეთებს.

საქართველოში ბევრი ადამიანი ელოდება, რომ უკრაინიდან დაბრუნდება მიხეილ სააკაშვილი, ზევსის კვერთხს დაჰკრავს და ყველაფერს გააკეთებს. მინდა ყველამ გაიგოს, რომ მიხეილ სააკაშვილი არის წარსული.

***– ამ განცხადებას დიდი უკმაყოფილება მოჰყვება.***

– კიდევ გავიმეორებ, რომ სააკაშვილი არის საქართველოს წარსული თავისი ღირსებებითა და შეცდომებით. მან გასაკეთებელი გააკეთა. ახლა ჩვენ უნდა ვაკეთოთ საქმე. მესიების ლოდინმა ის მოგვიტანა, რომ 25 წელია, პარლამენტში დეპუტატები ყოველგვარი გადაწყვეტილებების მიღების უფლების გარეშე სხედან. დეპუტატები ჯერ შევარდნაძის მონები იყვნენ, შემდეგ სააკაშვილის გარეშე ვერ იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ახლა საკანონმდებლო ორგანოში ივანიშვილის მარიონეტები სხედან.

# „მარგველაშვილი თუ მერაბიშვილს შეიწყალებს, პრეზიდენტს იმპიჩმენტს მოვუწყობთ“

## მამუკა ტუსკაძე: „წულუკიანმა მოქალაქეები შეცდომაში შეიყვანა“

გულიკო ბალაძე

ყოფილი პატიმარი, დღეს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭოს“ ხელმძღვანელი, ადვოკატი **მამუკა ტუსკაძე**, რომელსაც ციხეში მისი წამების გამო სტრასბურის სასამართლოში საჩივარი აქვს გაგზავნილი, „ახალ თაობასთან“ აფასებს ევროპული სასამართლოს მიერ ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

***– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის სამართლებრივ შეფასებას შეეხება?***

– განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

***– როგორ არ მომხდარა, ამის გამო აჟიოტაჟია ქვეყანაში.***

– ზედმეტი აჟიოტაჟია. ამ გადაწყვეტილებით სტრასბურის სასამართლომ სამი წლის წინანდელი პროკურატურის უნიათობა და უმოქმედობა დაგვანახა. სამი წლის წინ საქართველოში ნორმალური პროკურატურა რომ ყოფილიყო, სტრასბურის სასამართლოს განმარტებაც კი არ უნდა გაეკეთებინა.

***– რატომ შესთავაზეს მერაბიშვილს თანამშრომლობა, ან რატომ ითანამშრომლებდა მერაბიშვილი, ის ხომ რიგითი ჩინოვნიკი არ იყო?***

– ვფიქრობ, ვანო მერაბიშვილს დაკავების დროს ვაჭრობა შეგნებულად დაუწყეს. ასეთი იყო ვანო მერაბიშვილისა და მისი დროინდელი პროკურატურის მეთოდები. მერაბიშვილის დროს, როცა პირს აკავებდნენ, ჯერ ევაჭრებოდნენ, ხოლო შემდეგ ბრალს უყენებდნენ. მერაბიშვილმა ეს მომენტი კარგად გამოიყენა. შედეგად სტრასბურის სასამართლოს მიეცა საშუალება, ამაზე ემსჯელა. სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

***– მისი ადვოკატები უკანონო და პოლიტიკურ პატიმრობაზე საუბრობენ.***

– სტრასბურის გადაწყვეტილების წაკითხვა დედანშიც შეიძლება და თარგმანშიც. არსად წერია, რომ ვანო მერაბიშვილი არის უკანონო ან პოლიტპატიმარი. მისი უკანონო და პოლიტპატიმრობაზე საუბარი აბსურდია.

***– მერაბიშვილის შესაძლო უცნაური გაყვანა საკნიდან შეგნებული ქმედება ხომ არ იყო, რომ შემდეგ სტრასბურში ჩივილის მიზეზი გასჩენოდა?***

– ეს გამოიყენა სტრასბურმა. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს ნამდვილად მერაბიშვილის დაგეგმილი იყო. ვანო მერაბიშვილმა გამოიყენა თავისი ლეკვები, რომლებიც მისი მინისტრობის დროს პროკურატურის მაღალჩინოსნები იყვნენ. 4 წლის წინ დაიგეგმა პროვოკაცია, რომელიც მერაბიშვილს არჩევნების წინ დასჭირდებოდა. მერაბიშვილი ციხიდან მიზანმიმართულად გაიყვანეს, ასევე, სანამ პატიმრობას მიუსჯიდნენ, გაუმართეს ვაჭრობა, რომ შემდეგ ვანო მერაბიშვილს ამ თემით სპეკულაციის საშუალება მისცემოდა.

***– მერაბიშვილის ადვოკატები და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე აცხადებენ, რომ როდესაც საუბარია მე-18 მუხლის დარღვევაზე, ეს, ფაქტობრივად, საქმის პოლიტიკურობაზე მიუთითებს.***

– მე-18 მუხლში საერთოდ სიტყვა „პოლიტიკური“ არ ფიგურირებს. მიზანი დაპატიმრება არ უნდა იყოს, როცა შეიძლება იყოს სხვა რაღაც. მერაბიშვილის შემთხვევაში ითქვა, რომ მიზანი დაპატიმრება იყო და უმიზეზოდ დააპატიმრეს. ვანო მერაბიშვილი უმიზეზოდ დაკავებული რომ არ არის, სამართალი კი არა, საზოგადოებაც ამბობს. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ მერაბიშვილი ის ადამიანია, რომლის კისერზე უამრავი სისხლის სამართლის საქმეა, რომელიც ორ გვამს ითხოვდა, ადამიანებს ქონებას ართმევდა.

ვერ ვიტყვი, რომ მერაბიშვილის არდაჭერა ქვეყანას რაღაცაში წაადგებოდა. პირიქით, მერაბიშვილი რომ არ დაეკავებინათ, თავის დანაშაულებრივ ქმედებებს გააგრძელებდა. მას ჰქონდა და დღესაც აქვს რესურსი, ციხიდან გააგრძელოს დანაშაულებრივი ქმედებები იმ პოლიციელების მეშვეობით, რომლებიც დღესაც მუშაობენ სისტემაში მაღალ თანამდებობებზე და ყოველ საღამოს მერაბიშვილის სადღეგრძელოებს სვამენ.

***– თქვენ რა იცით, რომ დღეს პოლიციის მაღალჩინოსნები მერაბიშვილის სადღეგრძელოს სვამენ?***

– ვიცი, ვიცი. ბევრი გვარის დასახელება შემიძლია. ფოტოებიც არის გამოქვეყნებული. მაგალითად, მე-9 განყოფილების თანამშრომელი დათო მაჩაიძე, რომელიც ნაძალადევის შს განყოფილებაში დღესაც მუშაობს, 15 ივნისს მუხლებს რომ გვიმტვრევდა და გვარბევდა, დღეს ისევ ჩინოვნიკია. დღესაც ვანო მერაბიშვილის სადღეგრძელოებს ეგენი სვამენ. არ მინდა, დღეს ყველას გვარები დავასახელო. მათ უნდათ, მერაბიშვილი ციხიდან გამოვიდეს და ისევ მათი ხელმძღვანელი გახდეს.

მინდა, ხატიაშვილს პასუხი გავცე – აბსურდია იმის თქმა, რომ რადგან მე-18 მუხლზეა საუბარი, იგულისხმება, რომ მერაბიშვილი პოლიტპატიმარია.



***– მაშინ, კონკრეტულად რა თქვა ევროპის სასამართლომ?***

– ევროპის სასამართლომ თქვა, რომ ვანო მერაბიშვილის მიმართ დაირღვა შემდეგი უფლება – მის მიმართ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა მხოლოდ გათვალისწინებული მიზნებისთვის არ იყო, მხოლოდ კრიმინალისთვის კი არ დააკავეს მერაბიშვილი, სხვა მიზნითაცო.

***– რა სხვა მიზნით?***

– გადაწყვეტილებაში არ წერია, რა იყო სხვა მიზანი.

***– როგორც ვიცი, ციხეში გაწამებდნენ. თქვენ თუ იჩივლეთ სტრასბურის სასამართლოში?***

– მეოთხე წელია, გაგზავნილი საქმე წარმოებაში არ მიუღიათ, კიდევ მოკვლევის პროცესშია, მერაბიშვილის საქმე კი სწრაფად განიხილეს. როგორც ჩანს, სტრასბურის სასამართლო იმ მასონურ-სატანური ძალების გავლენაშია (მერაბიშვილი, სააკაშვილი და სხვები), რომლებმაც 9 წელი იბოგინეს საქართველოში და დღესაც ცდილობენ ბოგინს. თუ ჩემი და ბევრი სხვა საქმე აქამდე არ განიხილა, ვანო მერაბიშვილი რატომ განსხვავდება რიგითი მოქალაქისაგან? ამ შემთხვევაში თავად სტრასბურის სასამართლო არ არღვევს ადამიანის უფლებათა კონვენციას?!

***– ალბათ, მერაბიშვილი პატიმრობაში რომ არის, ამიტომ განიხილეს დაჩქარებული წესით.***

– პატიმრობაში იყო ასანიძე, მაგრამ 7 წლის შემდეგ დაიწყეს საქმის განხილვა.

***– რამდენმა ადამიანმა მიმართა სტრასბურს?***

– ასობით ადამიანმა მიმართა, მაგრამ ქალბატონ წულუკიანმა დანაშაული ჩაიდინა. მან შეც-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თორნიკე შარაშენიძე: „მერკელმა გვითხრა, დღეს არა, ხვალ გამოიარეთო!“

## „ვიზალიბერალიზაცია ჩვენს ხელისუფლებაზე ზემოქმედებისთვის დასავლეთის ბერკეტია“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** აფასებს.

***– ბატონო თორნიკე, ხელისუფლება ამბობს, რომ ვიზალიბერალიზაციამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი გვაშორებს. ეს რეალობაა თუ მორიგი თვალში ნაცრის შეყრა საზოგადოებისთვის?***

– მე ეჭვი მაქვს, რომ ეს ნაბიჯი ძალიან გრძელია და, ვიდრე არჩევნები არ ჩაივლის, ვიზალიბერალიზაცია არ იქნება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ევროკავშირში ასე ფიქრობენ, ერთადერთი ბერკეტი, რომელიც მათ გააჩნიათ ქართულ ხელისუფლებაზე, არის უვიზო რეჟიმი და, თუ ახლა მისცემენ საქართველოს უვიზო რეჟიმს, მაშინ დაიკარგება ბერკეტი.

***– ანუ ვიზალიბერალიზაცია შანტაჟის იარაღია?***

– დიახ. მათ ეშინიათ, თუ უვიზო რეჟიმს მისცემენ საქართველოს, შეიძლება ქართულმა ხელისუფლებამ გარკვეული რეპრესიები განახორციელოს საარჩევნო კამპანიის დროს და საარჩევნო კამპანიამ ჩაიაროს არათანასწორ და არადემოკრატიულ ვითარებაში, რაც ჩვენთვის ძალიან ცუდი იქნება. ამიტომაც ამას შემოინახავენ ბერკეტად და გვეტყვიან, თუ ცუდად მოიქცევით, სავიზო რეჟიმი კიდევ დიდხანს გადაიწევს იქითო.

***– თავიდან მსგავსი ულტიმატუმი არ ყოფილა და უვიზო მიმოსვლა ივლისიდან უნდა მიგვეღო. რა შეიცვალა?***

– ამის საბაბი მისცა მათ „ქართულმა ოცნებამ“ ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე.

***– რას გულისხმობთ? ამბობენ, თითქოს ნაციონალებმა დაიჩივლეს ევროპაში.***

– უკვე ძალიან დავიღალეთ იმით, რომ თურმე ნაციონალების ბრალია ყველაფერი.

***– ბოლოდროინდელ ნაბიჯებში რას გულისხმობდით?***

– პირველ რიგში – რუსთავი 2-ის საქმეს. ამერიკის ელჩი ყოველდღე ლაპარაკობს იმას, რომ რუსთავი 2 აუცილებელია ნორმალური წინასაარჩევნო კამპანიისთვის, ის სამარცხვინო ცემა-ტყეპა, რომელიც გამართეს სამეგრელოში და კიდევ რამდენი რამ. დასავლეთში სწორედ ამიტომ ფიქრობენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიამ შესაძლოა ჩაიაროს არაჯანსაღ და არანორმალურ ვითარებაში და, ეს რომ გამორიცხონ, სწორედ ამიტომ უჭირავთ ხელში ეს ბერკეტი.

***– რამდენად გაქრის ეს ბერკეტი ხელისუფლებაზე?***

– მე ამაში დარწმუნებული აღარ ვარ. ერთი მხრივ, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ხელისუფლებას ძალიან უნდა, მიიღოს უვიზო რეჟიმი, იმიტომ, რომ ეს აქტივში ჩაეწერება არჩევნების წინ და ეტყვის ამომრჩეველს – აი, ჩვენ უვიზო რეჟიმი მოვიპოვეთო. ეს უნდათ, მაგრამ, მეორე მხრივ, ეშინიათ.

***– რისი ეშინიათ?***

– ხელისუფლებას მანიაკალური შიშები დაეწყო, რომ შესაძლოა წააგოს არჩევნები და ამიტომაც, არჩევნები რომ არ წააგოს, ყველაფერზე უნდა წავიდეს, მათ შორის, რუსთავი 2 ჩაიგდოს ხელში. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენთან ყველა ხელისუფლებისთვის არჩევნების წაგება არის ტრაგედია და ვერავინ მიეჩვია იმას, რომ არჩევნების წაგება აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა. ჩვენთან არჩევნების წაგება კატასტროფის ტოლფასია და არჩევნები ჩვენთან სამოქალაქო ომს ჰგავს.

***– კვირიკაშვილი გერმანიაში იმყოფებოდა ვიზიტით, შეხვდა ანგელა მერკელს. ქართული მხარე ცდილობს,***



***არჩევნებამდე მოიპოვოს ვიზალიბერალიზაცია?***

– ჩემი აზრით, უფრო ადრე უნდა ჩასულიყო პრემიერ-მინისტრი. აქამდე უფრო ინტენსიურად უნდა ყოფილიყო მუშაობა წარმართული გერმანიასთან. როგორც ჩანს, ეს პროცესი ნორმალურად წარმართული ვერ იყო. ვიზიტიც საკმაოდ მოუმზადებელი იყო.

***– არ გვწყალობს გერმანია?***

– გერმანიისთვის ჩვენ მაინცდამაინც საინტერესო ქვეყანა არ ვართ. არ ვჭირდებით ჩვენ გერმანიას იმისთვის, რომ აქ სამხედრო ბაზა განალაგოს. გერმანიისთვის ჩვენ, როგორც სავაჭრო პარტნიორი, არასერიოზული ვართ, ალბათ – მეოთხეხარისხოვანი. თავის მოწონება შეიძლება გვინდა, მაგრამ დემოკრატიის შუქურად არ გამოვდგებით კორცხელში გამართული სამარცხვინო სცენების შემდეგ. აქედან გამომდინარე, კვირიკაშვილი რომ ჩავიდა, ბუნებრივია, მისი პოზიციები იყო სუსტი. რა უნდა შეეთავაზებინა მერკელისთვის?! – ბევრი არაფერი!

***– აცხადებთ, რომ კვირიკაშვილმა ჩასვლა დაიგვიანა. იწუნებთ ხელისუფლების საგარეო კურსს?***

– ამ და წინა ხელისუფლებასაც ჩაგდებული ჰქონდათ გერმანიასთან ურთიერთობები. ამჟამინდელი ხელისუფლება ვერ ხვდება, არ იცის, როგორ გამოასწოროს იგი. ვერ ხვდება იმასაც, რომ გერმანია ჩვენ გვიყურებს, როგორც მესამეხარისხოვან პარტნიორს. ამ დროს შენ უნდა შეეცადო, რომ მას ეს განწყობა შეაცვლევინო. როგორ უნდა შეაცვლევინონ, ეს არ იციან!

***– დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე რას იტყვით? ელჩებმაც ვერ იმუშავეს?***

– ელჩებზე საუბარი არა მაქვს, ახლანდელი ელჩი გერმანიაში დიპლომატიც არ არის. ის პროფესიით იურისტია. ამ ელჩს ისევ წინა ელჩი სჯობდა, სააკაშვილის დროინდელი. არც ის იყო დიპლომატიის გაგებაში, მხატვარი იყო.

***– მაშინ, რითი სჯობდა ახლანდელს?***

– ის გვარად იყო ჰაბსბურგი ანუ ავსტრიის იმპერიის დინასტიის შთამომავალი და მხოლოდ თავისი გვარის წყალობით შეეძლო, ვიღაც-ვიღაცებს შეხვედროდა ბერლინში. ეს პლუსი მაინც ჰქონდა. ჩვენ ბერლინში დიდი ხანია, ათ წელიწადზე მეტია, ნორმალური ელჩი არ გვყოლია!

***– არჩევნების მერე კი იქნება ვიზალიბერალიზაცია?***

– თუ არჩევნები ჩაივლის ნორმალურ სიტუაციაში, თუ ადგილი არ ექნება გაყალბებას და ასე შემდეგ, მერე შანსი იზრდება, მაგრამ შანსს გამოყენება უნდა! თუ გინდა, რომ შანსი გამოიყენო, გერმანიასთან უნდა გააქტიურდეს ჩვენი მთავრობა.

***– გააქტიურებაში რას გულისხმობთ?***

– ასეთ ქმედებას – არა, რომ ჩავლენ აბსოლუტურად მოუმზადებელი ვიზიტით. როგორც ჩანს, ამ ვიზიტს ვერ ამზადებს ვერავინ, ამის თავი და შნო არ აქვთ და წამოვლენ უკან იმით, რომ თავზე ხელს გადაუსვამენ და ეტყვიან, ოდესღაც შემოხვალთ, დღეს არა, ხვალ გამოიარეთო.

***– ანუ თქვენ ამ ვიზიტს უარყოფითად აფასებთ?***

– რასაკვირველია! ეს ვიზიტი მოკლედ შეგვიძლია ასე შევაფასოთ – დღეს არა, ხვალ გამოიარეთ.

***– წინასაარჩევნო გარემოზე რას იტყვით? რამდენად ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი გარემოა?***

– სიტუაციას ამძიმებს ერთი მარტივი ჭეშმარიტება, ერთი ფაქტი – ფული თუ აქვს ამ ქვეყანაში ვინმეს, პრინციპში, ეს არის ორი ძალა: ერთი ძალა არის ბიძინა ივანიშვილი და მეორე – ნაციონალური მოძრაობა. აი, ეს სამწუხარო ფაქტია. ერთი, რაც უკეთესობისკენ შეიცვალა ამ მთავრობის დროს, არის ის, რომ ბიზნესს ნაკლებად აწიოკებენ, ეს უნდა ვაღიაროთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ბიზნესს ეუბნებიან: შენ იმუშავე შენთვის, ფული იშოვე, მაგრამ არ დააფინანსო პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკაში არ ჩაერიოო! ეს არის ტიპური რუსული მოდელი, რომელიც ახლა ჩვენთან მუშაობს.

ეს არის ის ყველაზე უარყოფითი ფაქტორი, რომელიც ახლავს ჩვენთან არჩევნებს. სხვა მხრივ რაღაცრაღაცები გამოსწორებულია, ასევე მუშაობს ძალიან ძლიერი ოპოზიციური ტელევიზია – რუსთავი 2, რომელიც აბალანსებს ხელისუფლების გავლენას, მაგრამ ფული ისევ და ისევ ვის აქვს? – ორ ძალას!

***– ორპოლუსიანობა შენარჩუნდება?***

– არის რამდენიმე ძლიერი ოპოზიციური პარტია, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს გვაქვს ეს სერიოზული პრობლემა – პოლიტიკური პარტიები ვიღაცების კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებულნი!

# საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტებიც მონაწილეობენ

მარიამ მჭედლიშვილი

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ბევრ პოლიტიკურ ძალას აქვს. 34-მა მათგანმა უკვე შეიტანა შესაბამისი განაცხადი ცესკოში. აქედან ნაწილი დარეგისტრირებულია, ნაწილი კი რეგისტრაციის პროცესშია. მოსალოდნელია, რომ ცესკოში განცხადებებს კიდევ ბევრი სუბიექტი შეიტანს.

ითვლება, რომ ეს არჩევნები კონკურენტულია, მომავალი პარლამენტი კი რამდენიმესუბიექტიანი იქნება, რასაც კოალიციური მთავრობის დამტკიცება უნდა მოჰყვეს.

არსებობს მეორე მოსაზრებაც. მის თანახმად, რამდენი აქტიური მოთამაშეც არ უნდა იყოს პოლიტიკაში, სიტუაცია მაინც არ იცვლება და ის ისევ ორსუბიექტიანობას გულისხმობს. მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის ბოლოდროინდელი გამონათქვამები იმის მიმანიშნებელია, რომ ისინი მთავარ პოლიტიკურ ძალებად მხოლოდ ერთმანეთის პარტიებს აღიარებენ.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83



პარტიების ნაწილი ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ორპარტიულობის დასრულებას ისახავს.

მაგალითად, პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც პატრიოტთა ალიანსის გარშემო გაერთიანდნენ, აცხადებენ, რომ მათი საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი მიზანი ორპარტიულობის დამთავრებაა.

ამ მიზნის შესრულება მათ იმ შემთხვევაში გამოუვათ, თუ პარლამენტში უმრავლესობას მოიპოვებენ. ეს ადვილი არ არის. ამიტომ ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა მათთან გაწევრიანებას ნინო ბურჯანაძისა და შალვა ნათელაშვილის პარტიებსაც სთავაზობს.

მომავალ პარლამენტში უმრავლესობაზე პრეტენზია განაცხადა პაატა ბურჭულაძემ. ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ახლადშექმნილი ორგანიზაციისთვის ეს არარეალური ამოცანაა.

მომავალ საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის იმედი აქვს ბიძინა ივანიშვილს.

– ჩემი პროგნოზით, „ქართულ ოცნებას“ კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება არ დასჭირდება. ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ საშუალოდ 95 კაცით შევა პარლამენტში, – განაცხადა ივანიშვილმა ტელემედიასთან შეხვედრისას.

ხელისუფლება ირწმუნება, რომ საკრებულოს შუალედური არჩევნების დროს სოფელ კორცხელში მომხდარი ძალადობა აღარ გამეორდება. ამისთვის კანონმდებლობაში ცვლილებებიც შედის. ერთი ცვლილებით, საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობისა და მოთხოვნის გარეშე შეეძლებათ პოლიციელებს.

ეს ნორმა საზოგადოების ნაწილში პროტესტს იწვევს. ადამიანებს მიაჩნიათ, რომ პოლიციელების ყოფნა არჩევნების დროს ამომრჩეველს დააშინებს.

ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია ხალხს დემოკრატიულ და კომფორტულ არჩევნებს ჰპირდება.

– ცესკოს მიზანი ამომრჩევლისთვის მაღალი კომფორტის შექმნა და არჩევნების მაღალი სტანდარტებით ჩატარებაა, – განუცხადა თამარ ჟვანიამ პალიტრანიუსს.

ოპოზიცია ისევ საუბრობს ცუდ საარჩევნო გარემოზე. ბიძინა ივანიშვილი, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ ბოლოდროინდელი არჩევნები სამართლიანი იყო:

– ამ ოთხ წელიწადში ჩავატარეთ სამაგალითო 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები და ბოლო მოვუღეთ მოქალაქეებისთვის ხმების მოპარვის დანაშაულებრივ პრაქტიკას. დარწმუნებული ვარ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც ყველაზე მაღალი სტანდარტებით ჩატარდება.

არჩევნებში მონაწილე ორგანიზაციებიდან ბევრი უცნობია საზოგადოებისათვის, ზოგს კი უჩვეულო სახელი აქვს. როინ ლიპარტელიანის პარტიის სახელია „უპირველეს ყოვლისა, გადავარჩინოთ საქართველო და ქართველები“. არჩევნებში ქართველი კომუნისტებიც მონაწილეობენ. ივანე წიკლაურის ორგანიზაცია „საქართველოს კომუნისტური პარტია-სტალინელების“ სახელითაა დარეგისტრირებული.

ცესკოში განაცხადი უკვე შეტანილი აქვთ ხაჩიშვილი-ბედუკაძის ცენტრისტებს. ამ პარტიამ, რომელიც ხალხს რუსულ პენსიებსა და ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას ჰპირდება, ბევრი მოქალაქის პროტესტი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

## „მარგველაშვილი თუ მერაბიშვილს შეიწყალებს, პრეზიდენტს იმპიჩმენტს მოვუწყობთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დომაში შეიყვანა მოქალაქეები, რომლებსაც სტრასბურის სასამართლოში საჩივარი ჰქონდათ შეტანილი და საქმეები უკან გამოათხოვინა. წულუკიანმა განაცხადა, სტრასბურში ნუ წახვალთ, შეტანილი საჩივრები უკან გამოითხოვეთ და ჩვენ ყველა საქმეს თავიდან განვიხილავთო.

მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას შეჰპირდა, პროექტიც გააკეთეს, მაგრამ, როცა ხალხმა სტრასბურიდან უკან დააბრუნა სარჩელები, შეწყვიტეს სტრასბურში სარჩელების გაგზავნა, დაახლოებით ორი წლის წინ წულუკიანმა თქვა, ხარჯები ძალიან იზრდება, ამიტომ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენ კომისიას აღარ ვქმნითო.

წულუკიანი და სხვები ნაციონალებს გაურიგდნენ. ამიტომ სტრასბურში ახლა საჩივრების ძალიან ცოტა ოდენობაა, საჩივრების უმრავლესობა კი მერაბიშვილის, უგულავას, ადეიშვილის, კეზერაშვილისა და მათი სატანური ქსელის მიერაა გაგზავნილი.

***– წულუკიანმა შეცდომა დაუშვა?***

– შეცდომა კი არა, მიზანმიმართული ქმედება იყო. წულუკიანის დონის ადამიანები შეცდომას არ უშვებენ. ის უგანათლებულესი ადამიანია და შეცდომა დაუშვა? წულუკიანმა ეს მიზანმიმართულად გააკეთა. არა მგონია, რომ შეცდომა დაუშვა მაშინდელმა პროკურორმა კბილაშვილმა, შეგნებულად მოქმედებდა. არა მგონია, რომ შეცდომა დაუშვა კბილაშვილის შემდგომმა პროკურორმა ფარცხალაძემ. ისიც შეგნებულად მოქმედებდა.

***– მერაბიშვილის გათავისუფლებაზე საქმე რომ მიდგეს, თქვენი რეაქცია როგორი იქნება?***

– ნებისმიერი პატიმრის გათავისუფლებას წინ უძღვის რაღაც სამართლებრივი ქმედებები. გათავისუფლებისთვის ან უნდა გამოვიდეს ამნისტია, ან შეწყალება, ან უნდა მოიხადოს სასჯელი. არის კიდევ ვადამდე გათავისუფლების პროცედურა, რომელსაც ახდენს ე.წ. უდოს კომისია. ერთადერთი, ვანო მერაბიშვილს შეიძლება შეეხოს პრეზიდენტის შეწყალება. თუ პრეზიდენტი შეიწყალებს ვანო მერაბიშვილს, ის მიიღებს ფართომასშტაბიან აქციებს განაწყენებული მოსახლეობისგან, არეულობასა და დესტაბილიზაციას.

ის ვადაზე ადრე ჩამოშორდება საპრეზიდენტო ფუნქციებს. ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია დაიწყებს ხელმოწერების შეგროვებას, რომ პარლამენტმა პრეზიდენტის იმპიჩმენტი დაიწყოს.

# მაგთიკომი საქართველოში ერთადერთი ოპერატორია, რომელსაც შეუძლია, სრული საკომუნიკაციო მომსახურება შესთავაზოს მომხმარებელს

## ნინო ზაუტაშვილი: „ისინი ფიქრობენ ახლებურად, პროგრესულად და ეს ძალიან მნიშვნელოვანია“

**ორიოდე დღის წინ მაგთიკომმა კომპანიის განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლასთან დაკავშირებით ჟურნალისტებს მიღება მოუწყო. მშვიდი და თბილი საღამო მაგთიკლუბში გაიმართა. მიღება კომპანიის ორ უმნიშვნელოვანეს პროექტს უკავშირდებოდა. მათი განხორციელების შედეგად მაგთიკომი ახლა საქართველოში ერთადერთი კომპანიაა, რომელიც საკომუნიკაციო სფეროს სრულ სპექტრს სთავაზობს მომხმარებელს:**



**– 2 ტიპის ინტერნეტი** – მობილური და საკაბელო;

**– 2 ტიპის ტელევიზია** – თანამგზავრული და IPTV;

**– 2 ტიპის ფიქსირებული ტელეფონია** – რადიო და საკაბელო;

**– მობილური ტელეფონია** – რომელიც მობილური სატელეკომუნიკაციო სამყაროს განვითარების ყველა საფეხურს მოიცავს: 2G, 3G, 4G ქსელებს და რასაც ახლა უკვე მსოფლიოში უახლესი ტექნოლოგია – 4,5G დაემატა.

პირველი სიახლე მაგთიკომის მიერ კავკასუს ონლაინის საოპერაციო აქტივების შეძენა გახლდათ. ამ ორ კომპანიას შორის ხელშეკრულებას ხელი 30 მაისს მოეწერა. სრული საკომუნიკაციო სერვისის შესათავაზებლად მაგთიკომმა მზადება უკვე დაიწყო. კავკასუს ონლაინის კორპორაციული და საცალო მომსახურებისთვის საჭირო საოპერაციო აქტივების გადაცემის პროცესი უკვე 1 აგვისტოს დაიწყება და პროექტით მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. ინტეგრაციის პროცესში მომხმარებლებს შეუფერხებლად, უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ ყველა მომსახურება. ინტეგრაციის დასრულების შემდგომ კი ისინი მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებულ მრავალფეროვან და ინოვაციურ პროდუქტებს მიიღებენ.

მეორე სიახლე – მაგთიკომმა 4,5G-ს – ახალ სიტყვას მობილურ კავშირგაბმულობაში, ლიცენზიის მიღების დღესვე უკვე გამართული ქსელი დაახვედრა და 3 ივნისსვე შესთავაზა მომხმარებლებს. შესაბამისად, დღეისთვის მაგთიკომი ერთადერთი ოპერატორია ქართულ ბაზარზე, რომელიც ორი სიხშირული სპექტრის (800 MHz და 1800 MHz) კომბინაციით მომხმარებელს 4,5G (LTE Advanced) ქსელს სთავაზობს. ამ ქსელის მთავარი უპირატესობა კი სიგნალის მკვეთრად გაზრდილი შეღწევადობაა. ასეთ ქსელში ერთი სადგური გაცილებით ვრცელ ტერიტორიას ფარავს და უკეთესი ხარისხით. შესაბამისად მეტი მომხმარებლის მომსახურების შესაძლებლობას იძლევა გაზრდილი ინტერნეტ სიჩქარით.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონაცემები აჩვენებს, რომ მაგთიკომს წლების განმავლობაში ინტერნეტმოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, ანუ ინტერნეტის აქტიური მომხმარებლები მეტწილად მაგთიკომის ქსელით სარგებლობენ. LTE ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად კი მაგთიკომის მომხმარებელი უფრო სწრაფი მობილური ინტერნეტით ისარგებლებს.

უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით და, რაც მთავარია, საბაზო სადგურების რაოდენობით, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მომსახურების მაღალ ხარისხს, დაფარვის ვრცელ არეალსა და სტაბილურად საიმედო ქსელს – ქართულ ბაზარზე მაგთიკომი ტრადიციულად ლიდერობს.

მაგთიკომი ლიდერობს ასევე ქართულ ეკონომიკაში შეტანილი წილითაც – 4G და 4.5G ქსელების მხოლოდ ლიცენზირებისთვის გაწეულმა ინვესტიციამ 180 მილიონ ლარს გადააჭარბა. აღნიშნული თანხა მთლიანად საქართველოს ბიუჯეტში მიემართება. ამას კიდევ ემატება ქსელის ტექნიკური გამართვისთვის საჭირო მრავალმილიონიანი ინვესტიცია. კომპანიის მხრიდან გაწეული აღნიშნული ხარჯების მიუხედავად, მაგთიკომს ინტერნეტპაკეტების ტარიფები არ შეუცვლია.

**4.5G ქსელი დღესდღეობით მობილურ კავშირგაბმულობაში ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიაა. ამაზე ახალი ტექნოლოგია კომერციულად ჯერ არსად გაშვებული არ არის. ეს არის უფრო სწრაფი ინტერნეტი, გარდა ამისა, უფრო ვრცელი დაფარვის ზონა. სიგნალი აღწევს ისეთ ადგილებში, როგორიცაა რკინაბეტონის ნაგებობები, სარდაფები და ძნელად შესაღწევი ტერიტორიები, სადაც აქამდე სიგნალის მიღება ან რთული იყო, ან მიღება საერთოდ არ იყო. LTE-Advanced-ის საშუალებით ეს უკვე შესაძლებელია, თუმცა რა თქმა უნდა, მომხმარებელს შესაბამისი ტელეფონი უნდა ჰქონდეს, რომელსაც LTE800 მეგაჰერციან სიხშირეზე მხარდაჭერა აქვს.**

**ნინო ზაუტაშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი:** „მაგთიკომი არის კომპანია, რომელიც ყოველთვის ზრუნავს მომხმარებლისთვის პოზიტიური განწყობის შექმნაზე. ისინი ფიქრობენ ახლებურად, პროგრესულად და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. კავკასუსის შეძენა იყო ძალიან სწორი გადაწყვეტილება. ძალიან მიყვარს ამ ტიპის შეხვედრები – როცა კომპანია ასეთ სასიამოვნო ვითარებაში წარმოადგენს თავის სიახლეებს. ორივე პროექტი არის კიდევ უფრო დიდი წინსვლა როგორც კომპანიისთვის, ასევე მომხმარებლისთვის! საღამოც არაჩვეულებრივად წარიმართა. პირველივე დღიდან ვარ ამ კომპანიის მომხმარებელი და, რა თქმა უნდა, ვუსურვებ ძალიან დიდ წარმატებებს“.

**ანა ვაჩნაძე**





# ნატო დონბასიდან რუსეთის არმიის გაყვანას მოითხოვს

ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების სხდომა ჩატარდა. მასზე სტუმრის სტატუსით უკრაინის თავდაცვის მინისტრი, გენერალი სტეპან პოლტორაკიც მიიწვიეს.

შეკრების ძირითადი თემა რუსეთის აგრესიის განეიტრალება იყო.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ ალიანსი თავის წევრ ყველა ქვეყანას დაიცავს, შესაბამისად, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, პოლონეთში დისლოცირებული ნატოს სამხედრო კონტინგენტი გაიზრდება.

სხდომაზე გენერალმა პოლტორაკმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს დონბასში პროვოკაციები გაიზარდა. სეპარატისტები გრადებს საცხოვრებელი სახლების წინ დგამენ და უკრაინელთა პოზიციებს ცეცხლს იქიდან უხსნიან.

– ჩვენი მეომრებიც იძულებულნი არიან, საპასუხო ცეცხლი გახსნან. სეპარატისტები ამას ხელზე იხვევენ და ამტკიცებენ, თითქოს უკრაინული მხარე მინსკის შეთანხმებებს არღვევს, – თქვა პოლტორაკმა.



გენერალმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინული მხარე მზადაა, ჩაატაროს არჩევნები, რასაც შემდგომში დონბასისთვის სტატუსის მინიჭება მოჰყვება, თუმცა ძალადობისა და ტერორის პირობებში ამის განხორციელება შეუძლებელია.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ მინსკის სამშვიდობო პროცესის ბოლომდე მიყვანა სწორედ რუსეთს არ სურს. ამიტომაც რუსეთი მინსკში მიღწეულ შეთანხმებებს უხეშად არღვევს, – განაცხადა პოლტორაკმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ რუსეთის არმიამ დონბასი უნდა დატოვოს, რეგიონში კი უზრუნველყოფილ უნდა იყოს უსაფრთხოება, რაც არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია.

– მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ გააჩნია. ცხადია ისიც, რომ სანამ რუსეთის არმია დონბასს არ დატოვებს, მშვიდობა ვერ დამყარდება, – თქვა სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ალიანსი გააფართოებს თანამშრომლობას უკრაინასთან, დაეხმარება ამ ქვეყანას ეფექტური თავდაცვის სისტემის შექმნაში.

**ნიკა თევზაძე**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

206 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 17 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 ივლისს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 18 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 18 ივლისს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ილიას ზუროსის სამწვრთნელო შტაბი დაკომპლექტდა



ცნობილი გახდა საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის სრული შემადგენლობა. ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის, ბერძენ სპეციალისტ ილიას ზუროსის გუნდში შევიდნენ: კოტე ტუღუში, ირაკლი ხოშტარია, იურიცა გოლემაცი, ტიხომირ ბუიანი და მილოშ გრიგოლიევიჩი.

შედეგად, საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა მთავარ მწვრთნელთან ერთად 2 ცვლილება განიცადა. დავით უსტიაშვილისა და ჯეისონ სტოდტის ადგილები ირაკლი ხოშტარიამ და იურიცა გოლემაცმა დაიკავეს.

ხოშტარია ქართველი გულშემატკივრებისთვის კარგადაა ნაცნობი – ის თბილისის დინამოს თავკაცობდა, ხოლო 20-წლამდელთა ნაკრებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ. იურიცა გოლემაცი კი გულშემატკივართათვის უფრო კარგად კალათბურთელის კარიერითაა ცნობილი.

39 წლის ხორვატ ცენტრს თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში არ უთამაშია, მაგრამ ორმაგი მოქალაქეობა გამო სლოვენიის ეროვნული ნაკრების უცვლელი წევრი გახლდათ 2003, 2005 და 2007 წლების ევროპის ჩემპიონატებზე.

იგორ კოკოშკოვის სამწვრთნელო შტაბში მყოფი კოტე ტუღუში, ხორვატი ტიხომირ ბუიანი და სერბი მილოშ გრიგოლიევიჩი მთავარი მწვრთნელის ასისტენტებად დარჩებიან და საქართველოს ნაკრების წარმატებისთვის ამჯერად ილიას ზუროსთან ერთად იმუშავებენ.

# საქართველო ირლანდიასთან დამარცხდა



### ირლანდია-საქართველო 35:7

ირლანდია: ბრეტ კონონი, ტერი კენედი, ჯიმი ობრაიანი, პაულ კირნანი, ჰუგო კინანი, ჯონი მაკფილიპსი, ნიალ სანდერსი; ჯეიმზ ბოლარდი, ვინსენტ ობრაიანი, ვახტანგ აბდალაძე, ევან მინტერნი, შონ ოკონორი, გრეგ ჯოუნზი, კონალ ბონერი, კელვინ ბრაუნი;

მარქაფა: ადამ მაკბარნი, ენდრიუ პორტერი, ადამ კოლი, ჯეიმზ რაიანი, მაქს დიგანი, სტივენ კერიენსი, შონ დეილი, ჯეიკობ სტოკდეილი;

საქართველო: მირიან მოდებაძე, ლადო მიმინოშვილი, გიორგი კოშაძე, გიორგი კვესელაძე, სანდრო მერკვილიშვილი, დავით მოძღვრიშვილი, ვასილ ლობჟანიძე; თორნიკე მატარაძე, ლაშა საჯაია, ლაშა ტაბიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, ოთარ გიორგაძე, ილია სპანდერაშვილი, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე;

მარქაფა: გიორგი ხუროშვილი, ლუკა გოგინავა, გიორგი მელიქიძე, დემურ ეფრემიძე, ირაკლი ცხადაძე, გელა აფრასიძე, სანდრო ილურიძე, რატი შანიძე.

საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა ნაკრები ჯგუფის მოულოდნელ ლიდერ ირლანდიასთან 7:35 დამარცხდა და ამაში დიდი წვლილი თავად ნაკრებს მიუძღვის.

საქმე ის არის, რომ მე-8 წუთზე ყველაფერი დამთავრდა – ილია სპანდერაშვილმა მეტოქეს ჯერ ხელი დაარტყა და მერე წიხლი მიაყოლა. რეფერიმ დამსახურებულად გააძევა მოედნიდან და ჩვენი ნაკრები მატჩის ბოლომდე კაცნაკლული დარჩა. გეტყვით, რომ რაგბიში მოწინააღმდეგისთვის წიხლის დარტყმა ძვირად ფასობს და, არ არის გამორიცხული, ქართველმა მორაგბემ რამდენიმეკვირიანი დისკვალიფიკაციაც აიკიდოს. ქართველთა მსგავსი უდისციპლინო საქციელი პირველი შემთხვევა არ არის ალაფაზე – ახალ ზელანდიასთან შეხვედრის შემდეგ გურამ ქანდაურაშვილი მეტოქის კბენაში ამხილეს და 9 სათამაშო კვირით დასაჯეს.

არადა, მანამდე ირლანდიას ვუგებდით: პირველსავე წუთებზე მეტოქეს რაქიდან ბურთი ამოვაცალეთ, მაგრამ შეტევისთვის კარგი პლაცდარმი ვერ გამოვიყენეთ. მერე შერკინებაში დავჩაგრეთ და ვაიძულეთ დაჯარიმებულიყვნენ. აქ მოხდა საინტერესო ფაქტი – საქართველომ დასარტყმელი ჯარიმა აუტში გაიტანა, რომელიც ჩვენი კოზირი ნამდვილად არ არის, მაგრამ ამ ჯერზე კარგად მოაწოდეს. რამდენიმე დარტყმის შემდეგ ვასილ ლობჟანიძემ ბურთით ცრუ მოძრაობა უჩვენა მეტოქეთა მცველებს, თავად კი პატარა ნაპრალი იპოვა და ლელოში შეფრინდა. მან 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ქართული ლელო გაიტანა. დავით მოძღვრიშვილმა გარდასახა და საქართველო 7:0 დაწინაურდა.

ირლანდიამ ძალაში სარგებელი ვერ ნახა და სიჩქარეები გადართო, რასაც კენანის ლელო მოჰყვა, რომელიც მაკფილიფსმა გარდასახა. სწორედ ამ ლელომდე იყო სპანდერაშვილის გაძევება. ცხადი გახდა, რომ დარჩენილ 72 წუთში საქართველო მხოლოდ იმაზე თუ იოცნებებდა, რომ პატარა ანგარიშით წაეგო.

საბოლოოდ, ირლანდიამ სასურველი ანგარიშით მოიგო და ბონუს ქულაც მიიღო, მაგრამ ჩვენი მაინც „ეშინოდა". ირლანდიამ 2 ჯარიმა კარში დაარტყა, როდესაც შეეძლო, ლელოზე ეთამაშა, მაგრამ ესეც სარაგბო პატივისცემაა – კაცნაკლული საქართველო ხელწამოსაკრავ გუნდად არ მიიჩნიეს. მხოლოდ დაწინაურების შემდეგ დაიწყეს საბონუსე ლელოებზე თამაში და ამასაც ბოლო წამზე მიაღწიეს.

საქართველოს ნაკრები, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯგუფში ბოლო, მე-4 ადგილზე გავიდა. თუმცა უელსთან აღებული პრემიის ხარჯზე ჯერჯერობით 12- გუნდიან ტურნირზე მე-10 ადგილზე მოხვდა და მე-9-12 ადგილებისთვის ნახევარფინალში 20 ივნისს იტალიას ეთამაშება.

რა შანსი გვაქვს იტალიასთან, რომელიც ჩვენი უშუალო კონკურენტი და სარაგბო დაუძინებელი მტერი გახდა? თუ ნაკრები უდისციპლინობას გადაეჩვევა და დერეფანში თამაშს მოუმატებს, შანსი ნამდვილად გვაქვს და თანაც უფრო მეტი, ვიდრე იტალიელებს, მაგრამ ეს ორი დიდი ხარვეზი აუცილებლად არის გამოსასწორებელი.

## შედეგები

**15 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

რუსეთი-სლოვაკეთი ........ 1:2
რუმინეთი-შვეიცარია ........ 1:1
საფრანგეთი-ალბანეთი ........ 2:0

**აფრიკის ერთა თასი**

სვაზილენდი-მადაგასკარი ........ 1:0
ზიმბაბვე-სეიშელი ........ 5:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**პლეი ოფი**

ოსასუნა-ხირონა ........ 2:1

# საფრანგეთი პლეი ოფში პირველი გავიდა

## ბ ჯგუფი

### რუსეთი-სლოვაკეთი 1:2

ლილი. მეტროპოლი

0:1 ვაისი (32), 0:2 ჰამშიკი (45), 1:2 გლუშაკოვი (80)

**რუსეთი:** აკინფეევი, სმოლნიკოვი, იგნაშევიჩი, ვ.ბერეზუცკი, შჩენიკოვი, ნოიშტედტერი (გლუშაკოვი 46), შატოვი, კოკორინი (შიროკოვი 75), სმოლოვი, გოლოვინი (მამაევი 46), ძიუბა

**სლოვაკეთი:** კოზაჩიკი, პეკარიკი, შკრტელი, დიურიცა, ჰუბოჩანი, პეჩოვსკი, კუცკა, ვაისი (სვენტო 72), დუდა (ნემეცი 67), ჰამშიკი, მაკი (დიურიში 79)

სლოვაკეთის ნაკრები ამ მატჩში უფრო ცუდად გამოიყურებოდა, ვიდრე უელსთან წაგებულ შეხვედრაში, მაგრამ არც რუსეთის ნაკრები გამოიყურებოდა ისეთ დონეზე, რომ ცუდად მოთამაშე სლოვაკები დაემარცხებინა. ერთია, იან კოზაკს შემადგენლობაში ჰყავდათ მარეკ ჰამშიკი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი. სლოვაკთა ლიდერმა უელსთან ვერ ითამაშა, მაგრამ რუსებთან მოედნის ცენტრში აშკარად დაჩაგრა ნოიშტედტერი და გოლოვინი.

სწორედ ჰამშიკის დამსახურებაა, რომ სლოვაკები შესვენებაზე ორბურთიანი ჰანდიკაპით გავიდნენ. ჯერ იყო და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის შვილს, უმცროს ვლადიმირ ვაისს იდეალური პასი მისცა და მანაც ანგარიში გახსნა, ხოლო ტაიმის ბოლო წუთზე ულამაზესი გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში რუსებმა სიტუაცია ოდნავ გამოასწორეს, მაგრამ მათ არ ჰყავთ ჰამშიკის დონის ფეხბურთელი, რომელსაც ასეთი დონის გუნდების მატჩში მარტოს შეუძლია ბედის გადაწყვეტა.

ამ წაგებით რუსები ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ახლა უელსთან აუცილებლად სჭირდებათ გამარჯვება. სლოვაკებს კი უკეთესი შანსი აქვთ, მაგრამ ჯერ მათი ბედიც არ არის გადაწყვეტილი.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – მარეკ ჰამშიკი

სლოვაკეთის ნაკრები ჰამშიკითა და მის გარეშე ორი სხვა და სხვა გუნდია. მარეკი ნამდვილი გუნდის ლიდერია. კრეატიული ფეხბურთელის თამაშს რუსებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. ჰამშიკის დამსახურებით სლოვაკები პლეი ოფში გასასვლელად ბრძოლას აგრძელებენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 2.სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3.ინგლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4.რუსეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |



## ა ჯგუფი

### რუმინეთი-შვეიცარია 1:1

პარიზი. პარკ დე პრენსი

1:0 სტანკუ (18პ), 1:1 მეჰმედი (57)

**რუმინეთი:** ტატარუშანუ, საპუნარუ, ჩირიკეში, გრიგორე, რაცი (ფილიპი 62), პრეპელიცა, პინცილი (ჰობანი 46), ტორჟე, სტანკუ (ანდონე 84), ჩიპჩიუ, კეშერუ

**შვეიცარია:** სომერი, ლიხშტაინერი, შარი, ჯურუ, როდრიგესი, ბეჰრამი, ჯაკა, შაქირი (ტარაშაი 90), დზემაილი (ლანგი 83), მეჰმედი, სეფეროვიჩი (ემბოლო 64)

ორივე გუნდმა შეინარჩუნა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი, თუმცა უფრო იმედიანად შვეიცარიელები არიან, რადგან უკვე 4 ქულა აქვთ და ასეთი მარაგით მე-3 ადგილიდან შესაძლებელია გაღწევა.

რუმინელებმა პირველი ქულა აიღეს, მაგრამ წინ მატჩი აქვთ ალბანელებთან. თუ ვლახები თამაშიდანაც მოახერხებენ გოლის გატანას, მეტი შანსი ექნებათ გამარჯვების. აქამდე რუმინეთმა 2 გოლი გაიტანა და ორივე პენალტით.

წინ იყვნენ შვეიცარიელებთანაც, მაგრამ მეტოქეს გათანაბრების საშუალება მაინც მისცეს. რუმინეთს არ ჰქონდა ძალა და მოთმინების უნარი ანგარიში შეინარჩუნოს, თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შვეიცარია უკეთ გამოიყურებოდა და წაგებას არ იმსახურებდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ადმირ მეჰმედი

შვეიცარიელთა მხსნელი. მართალია, გოლი ბოლო წუთზე არ გაუტანია, მაგრამ ქულის მომტანი აღმოჩნდა. ძალიან აქტიური იყო მთელი თამაში. ამ კუთხით მხოლოდ სეფეროვიჩი თუ შეედრებოდა, რომელსაც ფატალურად არ უმართლებდა. ამიტომ, ვისაც უფრო გაუმართლა, ის გამოვარჩიეთ.

### საფრანგეთი-ალბანეთი 2:0

მარსელი. ველოდრომი

1:0 გრიზმანი (90), 2:0 პაიე (90)

**საფრანგეთი:** ლორისი, სანია, რამი, კოშელნი, ევრა, კანტე, მატუიდი, კომანი (გრიზმანი 68), პაიე, მარსიალი (პოგბა 46), ჟირუ (ჟინიაკი 77)

**ალბანეთი:** ბერიშა, ჰისაი, აიეტი (ვესელი 84), მავრაი, აგოლი, აბრაში, კუკელი (ჯაკა 74), მემუშაი, ლილა (როში 71), სადიკუ, ლენიანი

მატჩი ყველას დაავიწყდება, ანგარიში კი ისტორიაში შევა. არადა, მოკრძალებული ალბანეთი ბოლომდე ეომა ფრანგებს, რომელსაც 90-ე წუთამდე კარში არ დაურტყამს. თუმცა, პირველივე დარტყმა შედეგიანი აღმოჩნდა, რასაც იქვე მეორე მოჰყვა და საფრანგეთის ნაკრები პირველი გუნდია, რომელმაც პლეი ოფში თამაში გაინაღდა.

დიდიე დეშამმა მოულოდნელად სათადარიგოთა სკამზე დატოვა დატოვა პოლ პოგბა და ანტუან გრიზმანი. ამიტომაც იყო, რომ ფრანგებს პირველ ტაიმში გაუჭირდათ და მეტოქის კართანაც სერიოზული ვერაფერი შექმნეს. მეტიც, ალბანელთა გამოსვლები გაცილებით მწვავე იყო.

მეორე ტაიმიდან დეშამმა მძიმე არტილერია ჩართო საქმეში – ჯერ პოგბა, შემდეგ გრიზმანი, რომელმაც მოახერხა და ბოლო წუთზე ანგარიში გახსნა.

თუმცა მე-2 გოლის გატანა ამჯერადაც დმიტრი პაიეს საქმე ყოფილა – ფრანგთა უპირობო ლიდერმა მიმდინარე ევროპირველობაზე ზედიზედ მე-2 მატჩში გაიტანა და ჯერჯერობით ამ მაჩვენებლის მქონე ერთადერთი ფეხბურთელია.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – დმიტრი პაიე

ფრანგი ფეხბურთელი პირველი ტურის სენსაცია და აღმოჩენა გამოდგა. რუმინეთთან მართლაც დიდებული თამაში ერთჯერად გამოსვლად შეუფასესე, მაგრამ ალბანელებთანაც სხვებზე უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა და პარტნიორებს მომენტებს უქმნიდა, ბოლოს კი თავადაც გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2.შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3.რუმინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4.ალბანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

# შოთა არველაძე მაკაბის მთავარი მწვრთნელია



შოთა არველაძე თელ ავივის მაკაბის მთავარი მწვრთნელი გახდა. შოთა მაკაბიში მომავალი 2 წლის განმავლობაში იმუშავებს.

მაკაბი ისრაელის ყველაზე ტიტულოვანი საფეხბურთო კლუბია. თელ ავივის გუნდი ისტორიაში 21-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, 23-ჯერ კი – თასის მფლობელი. ბოლო სეზონში მაკაბიმ ისრაელის ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა.

შოთას ახალი გუნდი მოსამზადებელ ეტაპს ავსტრიაში გაივლის, მზადება 17 ივნისს დაიწყება. მაკაბი უეფას ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს და გათამაშებაში პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება.

**ხორდი კრუიფი, მაკაბის სპორტული დირექტორი:**

– მოხარულნი ვართ, რომ სწორედ იმ მწვრთნელის დანიშვნა მოვახერხეთ, ვინც ჩვენი მთავარი სამიზნე იყო. შოთა ძლიერი პიროვნებაა, მას დიდი საფეხბურთო წარსული უმაგრებს ზურგს და მიგვაჩნია, რომ ის შეძლებს მაკაბისთან ერთად მიზნის მიღწევას.

**შოთა არველაძე:**

– ძალიან მოხარული ვარ, რომ აქ ვარ და ერთი სული მაქვს, როდის შევხვდები მაკაბის ფეხბურთელებსა და მათ ერთგულებით ცნობილ ფანებს. ბევრი მსმენია, თუ როგორი ატმოსფეროა სტადიონზე მაკაბის თამაშისას. ვიცი მაკაბის ისტორია, მისი ამბიციები. აი, ამიტომაც ვარ ბედნიერი და მინდა, რაც შეიძლება მალე დავიწყო მუშაობა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი თურქულ ქაისერს, ქასიმფაშასა და ტრაბზონს წვრთნიდა, მანამდე კი 2008-10 წლებში ალკმაარში ლუი ვან გაალის, დიკ ადვოკაატისა და როლანდ კუმანის თანაშემწედ მუშაობდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ბრაზილიას ტიტე გაწვრთნის



ბრაზილიის ნაკრები დიდხანს არ დარჩენილა მთავარი მწვრთნელის გარეშე – „სელესაოს" კორინთიანსის მთავარი მწვრთნელი ტიტე ბრაზილიის ნაკრების თავკაცი გახდება.

ამის შესახებ ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტმა რობერტო დე ანდრადემ განაცხადა. ტიტესთან ერთად ეროვნულ ნაკრებში მისი ასისტენტებიც იმუშავებენ.

55 წლის ტიტე კორინთიანსში 2010-13 და 2015-16 წლებში მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ორჯერ მოიგო ბრაზილიის ჩემპიონატი, ერთხელ – ლიბერტადორესის თასი.

შეგახსენებთ, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დუნგა კოპა ამერიკაზე არასახარბიელო შედეგის გამო 2 დღის წინ გამო მოხსნეს.


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ბარაქ ობამა დალაი ლამას შეხვდა



აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა დალაი ლამას შეხვდა.

შეხვედრაზე ობამამ ხაზი გაუსვა, რომ ტიბეტის უძველესი კულტურითა და რელიგიური ტრადიციებით აღფრთოვანებულია. ამავე დროს, ობამამ თქვა, რომ მხარს არ უჭერს ტიბეტის დამოუკიდებლობას და ამ რეგიონს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

– ჩვენ დაგეხმარებით ადამიანის უფლებების დაცვაში, მაგრამ არა ჩინეთიდან გამოყოფაში, – განაცხადა ობამამ.

დალაი ლამამ, თავის მხრივ, თქვა, რომ ჩინეთიდან გამოყოფას არ ესწრაფვის. მას მხოლოდ ჩინეთის რესპუბლიკასთან დიალოგის წარმოება სურს, რათა რეგიონის უნიკალური კულტურა და რელიგიური ტრადიციები შენარჩუნდეს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# შოიგუ: „1941 წლის 22 ივნისი უნდა გვახსოვდეს“

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა, რომ პუტინის მიერ რუსეთის არმიის ბრძოლისუნარიანობის ანაზდეული შემოწმება შემთხვევითი არაა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ პოლონეთსა და ბალტიისპირეთში ნატოს დამატებითი ქვეგანაყოფების განლაგება, აგრეთვე უკრაინისა და საქართველოს დაახლოება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან რუსეთისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს.

– 1941 წლის 22 ივნისი უნდა გვახსოვდეს. ამიტომ უფლებას ვიტოვებთ, რათა საპასუხო ღონისძიებანი განვახორციელოთ, – თქვა შოიგუმ.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა თქვა, რომ



ბალტიისპირეთსა და პოლონეთში ნატოს დამატებითი ნაწილების განთავსების პასუხად რუსეთი შავის ზღვის ფლოტს გააძლიერებს. ამას გარდა, გაიზრდება ბელარუსში დისლოცირებული რუსული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობაც.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**



# ქაოსი ვენესუელაში

კრიზისი ვენესუელაში მძაფრდება. დამშეულთა ბრბოები ქუჩაში გამოვიდნენ შეძახილით: ჩვენ გვშია. ისინი მაღაზიებს დაერივნენ. მათსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება.

შედეგად ორივე მხარეს არიან დაშავებულნი.

პოლიციამ 400-მდე ადამიანი დააკავა. მიუხედავად ამისა, ქაოსი არ ცხრება. ბრბო არბევს მაღაზიებს, სურსათის საწყობებს. ქუჩებში არ წყდება ძარცვა-გლეჯა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# შანხაის „დისნეილენდი“ გაიხსნა



საზოგადოებისთვის გაიხსნა ჩინეთის ქალაქ შანხაის „დისნეილენდი“. გასართობი კომპლექსის აშენების თაობაზე მოლაპარაკებები 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, კიდევ ხუთი წელი მშენებლობას დასჭირდა, ხოლო მისი ტესტირება რამდენიმე კვირა მიმდინარეობდა.

„დისნეილენდის“ გახსნის საზეიმო ცერემონიალზე დაუკრეს მუსიკალური კომპოზიცია დისნეის მულტფილმიდან „ცივი გული“, რომელიც ცნობილმა ჩინელმა პიანისტმა ლან ლანმა შეასრულა.

ექსპერტების შეფასებით, შანხაის „დისნეილენდი“ მსოფლიოში ყველაზე ნახვადი თემატური პარკი გახდება და, სავარაუდოდ, მას წელიწადში, მინიმუმ, 15 მილიონი ადამიანი დაათვალიერებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური**



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი
## 17 ივნისისთვის



**ვერძი** – პროვოკაციული დღეა. ბედი გამოცდას გიწყობთ. იზრდება ტრავმების მიღების ალბათობა. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, მაქსიმალური თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. **კურო** – ცოდნის არეალის გასაფართოებლად, სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი პერიოდია. საყვარელი ადამიანისგან სასიხარულო ინფორმაციას მიიღებთ. **ტყუპები** – დილიდანვე კონფლიქტია მოსალოდნელი. ქედმაღლობა ცუდ შედეგებამდე მიგიყვანთ. იყავით წინდახედული და სულგრძელი. **კირჩხიბი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. მელანქოლიური დღეა, თუმცა საამისო მიზეზი არ გაქვთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ხელმძღვანელ პირებთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. **ქალწული** – პროვოკაციული დღეა. ბედი გამოცდას გიწყობთ. იზრდება ტრავმების მიღების ალბათობა. თუ გსურთ, წარმატებას მიაღწიოთ, მაქსიმალური თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. **სასწორი** – გელით როგორც სასიხარულო, ისე უსიამოვნო მოულოდნელობები. იყავით მაქსიმალურად ტაქტიანი. წინდაუხედავი გამონათქვამები კონფლიქტს გამოიწვევს. **მორიელი** – დამშვიდდით და ეცადეთ, ცხოვრებისგან სიამოვნება მიიღოთ. ნერვებს გაუფრთხილდით. ემოციებს არ აჰყვეთ. **მშვილდოსანი** – დღეს მაქსიმალური წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უნდა გამოიჩინოთ. ეს განსაკუთრებით მამაკაცებს ეხება. ნუ იქნებით ამპარტავანი. **თხის რქა** – კოლექტიური საქმიანობა სასარგებლო იქნება. დიდხანს მარტო დარჩენას პლანეტები არ გირჩევენ. **მერწყული** – ერიდეთ სკანდალურ სიტუაციებს, განსაკუთრებით ოჯახის წევრებთან. დღეს ძალიან გაგიმართლებთ, დასახულ მიზანს იოლად მიაღწევთ. **თევზები** – ოჯახში წვრილმანი უსიამოვნება გელით. ფინანსური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ჯანმრთელობას მიხედეთ. კარგი იქნება, თუ ორგანიზმის გამწმენდ პროცედურებს ჩაიტარებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგული იავნანა; 2. ჭადრაკის პარტიის დაბოლოება; 3. ქართული თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 4. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 5. კაცთმოძულე ადამიანი; 10. დამჟავებული ბოსტნეული; 11. კეთილმოწყობილი საყოფაცხოვრებო პირობების ერთობლიობა; 12. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. ქალისადმი მიძღვნილი ძველებური, პატარა, ლირიკული ლექსი; 17. სამხედრო ნაწილის მღვდელი; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 21. სირიის პრეზიდენტი; 23. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე.

**თარაზულად:** 6. ნაღვლიანი განწყობილება; 7. მე-20 საუკუნის ვირტუოზი ესპანელი ვიოლონჩელისტი; 8. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ორგანიზაცია; 9. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 14. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 15. პოლონელი ექიმი, ხელოვნური საერთაშორისო ენა – ესპერანტოს შემქმნელი; 18. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 20. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; 22. ცხვრის ფარის მცველი დიდი ძოფაკი; 24. ნაყინის ერთ-ერთი სახეობა; 25. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების საერთო სახელწოდება აშშ-ში; 26. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. არვე; 2. ომი; 3. ვილსდორფი; 4. შნეკი; 5. ცინიზმი; 8. ნანა; 9. მენისკი; 10. ტარიბანა; 12. ძელქვა; 13. სეიმი; 15. წუნდა.

**თარაზულად:** 1. ავოკადო; 6. დიპტანკი; 7. ვენტა; 10. ტესლა; 11. ონისე; 13. სპიჩი; 14. ანწლი; 16. ქისი; 17. ინჟენიუ; 18. გუჯარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რენუარი; 2. ომნიბუსი; 3. ანოფელესი; 4. ჰორაციო; 5. მიტელშპილი; 10. ჰამერი; 11. კუროსავა; 12. სიცილია; 13. ოკლუზია; 16. პერგამონი; 17. კარავაჯო; 19. ასპარუხი; 21. კანტი; 23. ტუნგი.

**თარაზულად:** 6. დეკამერონი; 7. კოფეინი; 8. თრომბი; 9. დემენცია; 14. სკრეპერი; 15. პაციფისტი; 18. ლავრა; 20. ბაიკერი; 22. კატრანი; 24. ხარება; 25. დომკრატი; 26. ელგუჯა.

# განცხადებები


### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

● ვყიდი ხის ფანჯრებს. ტელ: 557-68-83-43.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".


# ქართველმა დიზაინერმა იტალიაში პირველი ხარისხის ჯილდო მოიპოვა



22 წლის ახალგაზრდა დიზაინერმა თამთა გოცაძემ, რომელიც არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია, იტალიაში პირველი ხარისხის ჯილდო მოიპოვა.

თამთამ სწავლის გაგრძელება იტალიაში ისურვა და მილანში ნაბას აკადემიაში ჩააბარა, სადაც თამთას პროექტმა პირველი ხარისხის ჯილდო და მაქსიმალური დაფინანსება მიიღო.

ახალგაზრდა დიზაინერის მიერ წარდგენილი პროექტი 60%-ით დააფინანსეს. ნაბას აკადემიაში სწავლის საფასური 16.000 ევროა და ახლა ნიჭიერი დიზაინერი ცდილობს, დარჩენილი 40% დაფინანსება მოიპოვოს, რომ საოცნებო სასწავლებელში სწავლა შეძლოს.

ახალგაზრდა დიზაინერი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე ინტერიერის დიზაინის განხრით სწავლობდა.

– ინტერიერის დიზაინის საშუალებით ვცდილობ, შევქმნა სივრცეები, რომელშიც ადამიანები შემდგომში ბედნიერებასა და კომფორტს იგრძნობენ. რეალურად სწორედ ინტერიერია, სადაც ადამიანი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ატარებს, – ამბობს 22 წლის დიზაინერი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# მაიკო კაჭკაჭიშვილი იქს ფაქტორის ხმების გაყალბებაზე ალაპარაკდა



იქს ფაქტორის მესამე სეზონის ერთ-ერთი მონაწილის დათუნა ლაზარიშვილის დედა, კომპოზიტორი მაიკო კაჭკაჭიშვილი, პროექტში მონაწილეების ხმების გაყალბებაზე ალაპარაკდა:

– ერთი ტელეფონიდან მხოლოდ ერთი ზარი რომ შეიძლებოდეს, მაშინ გავიგებდით ხალხის რჩეულს რეალურად... ხალხი არ რეკავს ზოგადად, ეგ კარგად ვიცი, რეკავს ნათესაობა და სამეგობრო, ან სპონსორი, ხო და არ ვართ ჩვენ განებივრებულები შეძლებული წრით, თორემ ერთი ქუჩაში გასვლით რამდენი ადამიანიც დათუნას ეხუტება, ერთხელაც რომ დაერეკათ, მოწინავე ადგილზე იქნებოდა, მაგრამ ეგ იმდენად არ მაღელვებს, რაც მთავარია, მე მიკმაყოფილებს მუსიკალურ ამბიციებს და მთელი ცხოვრება რომ სცენაზე დგომას ვნატრობდი და წონის გამო უარი ვთქვი, შეგრძნება მაქვს, რომ ჩემს სათქმელსაც დათუნა ამბობს...

# ნინო ჩხეიძემ გადაღებაზე ფეხსაცმელი დაკარგა



მომღერალმა ნინო ჩხეიძემ გადაღების წინ შანელის ფეხსაცმელი დაკარგა.

– გადაღების წინ რომ ცალ ფეხსაცმელს დაკარგავ, რას ნიშნავს? და კალოშებით რომ იმღერებ?! – ასეთ კითხვას სვამს მომღერალი ნინო ჩხეიძე და პასუხს გულშემატკივრებისა და მეგობრებისგან ელის. მისმა განცხადებამ ინტერნეტში დიდი გამოხმაურება დაიმსახურა და ნინო ჩხეიძე კონკიასაც კი შეადარეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ნიჭიერთა სააგენტომ დებ კარდაშიანებს უჩივლა



ნიჭიერთა განვითარების სააგენტომ სასამართლოში სარჩელი შეიტანა დები კარდაშიანების წინააღმდეგ, რომელშიც მათ მოგების ნაწილის გადაუხდელობა დასდეს ბრალად. სააგენტომ ფინანსური პრეტენზიები კარდაშიანების ოჯახის ხუთ წარმომადგენელს – კიმს, ჰლოის, კორტნის, ასევე კაილისა და კენდალ ჯენერს წაუყენა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2009 წელს დადებული იქნა სიტყვიერი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, დებს სააგენტოსთვის სააგენტოს მხრიდან კონტრაქტების მიღებაში დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ თავიანთი შემოსავლის 15 პროცენტი უნდა გადაერიცხათ. აღსანიშნავია, რომ გოგონებმა მილიონობით დოლარი გამოიმუშავეს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვადასხვა აქსესუარის რეკლამებზე. სააგენტოში ამტკიცებენ, რომ კარდაშიანები ნაკისრი ვალდებულების შესრულებას 2015 წლის მარტიდან არიდებენ თავს.

დების ადვოკატმა ტოდ უილსონმა სააგენტოს არაკომპეტენტურობა დასდო ბრალად და განაცხადა, რომ სწორედ ის არ ასრულების სიტყვიერი შეთანხმების პირობებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კეიტ მიდლტონი სამეფო დოღს პირველად დაესწრო



კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინი პირველად დაესწრო სამეფო დოღს ასკოტში. მას, რა თქმა უნდა, ახლდა მეუღლე, პრინცი უილიამი.

ამ ღონისძიებას კეტრინი დოლჩე და გაბანას თეთრ მაქმანებიან კაბაში გამოწყობილი სტუმრობდა, რომელიც 2,4 ათასი ფუნტი ღირს. ბრიტანული პრესის მტკიცებით, პრინცის მეუღლემ კვლავაც შესანიშნავად შეუხამა ერთმანეთს მოდური და ოფიციალური სტილი.

გარდა ამისა, ტრადიციის თანახმად, კეტრინი მაღალი წრის ღონისძიებაზე გამოჩნდა კაბაში, რომელიც ერთხელ უკვე ეცვა საზოგადოებაში გამოსვლისას, კერძოდ, დოლჩე და გაბანას კაბა მაისში, უინძორში გამართული დოღის დროს.

# სელინ დიონი სახლისთვის ნივთების გამოშვებას იწყებს

კანადელი მომღერალი სელინ დიონი სახლისთვის განკუთვნილი ნივთების მწარმოებელი საკუთარი ბრენდის ამუშავებას იწყებს. ესენია აქტიური ცხოვრებისთვის განკუთვნილი ტანსაცმელი, კოსმეტიკური საშუალებები. ამაში მომღერალს კომპანია ეპიქ რიათი დაეხმარება.

ახალი მარკისთვის ოფიციალური სახელი მოფიქრებული არ არის და ჯერჯერობით მას, უბრალოდ, სელინ დიონად მოიხსენიებენ.

პირველი საქონელი, შემუშავებული დიონის ფასეულობების



გათვალისწინებით (ოჯახი, მუსიკა, გართობა და სტილი), სავარაუდოდ, 2017 წლის შემოდგომისთვის გამოჩნდება. ეს იქნება ტანსაცმელი ცხოვრების აქტიური სტილისთვის, აქსესუარები, ოპტიკა, კოსმეტიკური პროდუქცია და ნივთები, განკუთვნილი მოგზაურობისთვის. მომდევნო სამი წლის განმავლობაში ახალი ხაზების წარდგენა მოხდება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*






## TV პროგრამა

### ხუთშაბათი 17 ივნისი

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15 "მოამბე" 08.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "XX საუკუნე" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 "**ევრო – 2016**" 16.30 **ევრო-2016**. 16.50 **ფეხბურთი. ევრო 2016. იტალია – შვედეთი**. 19.25 **ევრო-2016**. 19.50 **ფეხბურთი. ევრო 2016. ჩეხეთი – ხორვატია**. 22.00 **ევრო-2016**. 22.50 **ფეხბურთი. ევრო 2016. ესპანეთი – თურქეთი**. 01.00 **ევრო-2016**. 01.25 მხ/ფ "**ბილოქსი ბლუზი**" (კ.უოკენი)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "კიდევ სცადე" 14.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები-სიცოცხლის სადარაჯოზე" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ბამბის ველი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ "**აბა" დამიჭირე**" 02.05 მხ/ფ "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯუნგლებში**" 03.35 მხ/ფ "**სილამაზე ამერიკულად**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 41 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 2.55 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00 სერ. "**ქალები**" 15.00 შუადღე 17.30 ცოლები და ქმრები 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 0.00 სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" 1.00 მხ/ფ "**შავი გედი**"

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11.25 მოკ. მხ/ფ 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.00 ღვთის სახლი 17.15 მიწათმოქმედი "ქართული ხორბლის მნიშვნელობა" 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ოძრახისის სამკვიდრო აბასთუმანი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები "ზემო ბეთლემი" 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 01.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ბერძენი ქალი**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05, 21.40 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 2.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 3.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**სახიფათო ქალი**" 22.35 სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" 23.30 მხ/ფ "**სულელი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

17 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.1322

ევრო — 2.3925

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0286

100 რუსული რუბლი — 3.2398

## ამინდის პროგნოზი 17 ივნისისთვის





## 17 ივნისიდან

ქართული ჯადოსნური ზღაპრები




მაგარი ყდა. 200 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი


## იუმორი



კაცი ძმას ესტუმრება. მას მაშინვე ბავშვები შემოეხვივნენ და ეკითხებიან:

– ბიძია არამ, რა მოგვიტანეთ?

– დღეს არაფერი, მაგრამ აი ხვალ რომ მოვალ, შოკოლადის კანფეტებს მოგიტანთ.

– მაგარია! – გაუხარდათ ბავშვებს.

არამმა ძმასთან დრო გაატარა, ისადილა და წავიდა.

მეორე დღეს ისევ ესტუმრა ძმას და ისევ ხელცარიელი. მის დანახვაზე გახარებული ბავშვები აყვირდნენ:

– ბიძია არამი მოვიდა და შოკოლადის კანფეტები მოგვიტანა!

– არა, ბავშვებო. იმ წყეულ გამყიდველს შოკოლადის კანფეტები არ ჰქონდა და ვერ წამოგიღეთ. მხოლოდ ირისის კანფეტი ჰქონდა.

– ვაიი, – მოიწყინეს ბავშვებმა, – ბიძია არამ, ჩვენთვის სულ ერთია, თუნდაც ირისები მოგვიტანე.

– კარგი, ირისებს გიყიდით.

მეორე დღეს ისევ ესტუმრა ძმას, ბავშვები მოუთმენლად ელოდებიან. სახლში შესული, ბავშვებს ეუბნება:

– იცით რა, ჩემო ძვირფასო ძმისშვილებო? სანამ ცოცხალი ვარ, თქვენ მხოლოდ შოკოლადის კანფეტებს გაჭმევთ! ამიტომ, დაველოდოთ, სანამ შოკოლადის კანფეტებს არ შემოიტანენ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როდის უსმენს ქალი მამაკაცს ყურადღებით?

– როდესაც ის ტელეფონზე სხვა ქალს ელაპარაკება.

●●●

პროფესორი სტუდენტებს ეკითხება:

– აბა, ჯენტლმენებო. ვინ მიპასუხებს, რატომ უღებს და შემდეგ უხურავს მანქანის კარს კაცი ქალს?

– იმიტომ, რომ არ მიაჯახუნოს!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორ განწყობაზე ხარ?

– არა ადეკვატურზე.

– ეგ, როგორ?

– როგორ და საქმე ცუდადაა, მაგრამ სულ ფეხებზე გკიდია.

●●●

ტურისტების ჯგუფი უძველესი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს ათვალიერებს. ამ დროს ბავშვი მამას ყურში ჩასჩურჩულებს:

– მამა, დედა აქ სწავლობდა მანქანის ტარებას?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 16 ივნისიდან




მარიო ვარგას ლიოსა

ცუდი გოგოს ოინები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

„ცუდი გოგოს ოინები“ დიდი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატ მარიო ვარგას ლიოსას ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რომანია.

მწერალი მოგვითხრობს ქალისა და მამაკაცის რთული ურთიერთობის შესახებ, რომელიც ადრეულ სიყმაწვილეში იწყება და თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში სდევს პერსონაჟებს.

წიგნს ვრცელი გეოგრაფია აქვს – ლიმა, პარიზი, ლონდონი, ტოკიო, მადრიდი, სადაც ორიგინალურად ერწყმის ერთმანეთს ამ ქალაქებში მომხდარი უჩვეულო მოვლენები და რომანის გმირების არაორდინარული ურთიერთობა.



## 21 ივნისიდან

ალექსანდრე დიუმა

სამი მუშკეტერი

მთელი რომანი ერთ წიგნში!




ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი


## დავით თარგამაძე ოლექსანდრიიდან მიდის



ქართველი ლეგიონერი დავით თარგამაძე, რომელიც უკრაინულ ოლექსანდრიაში იჯარის წესით თამაშობდა, გუნდს დატოვებს.

ამის შესახებ განცხადება ოლექსანდრიის მთავარმა მწვრთნელმა გააკეთა.

მიზეზი თარგამაძის ტრავმაა, რომელიც ჩვენებურმა რამდენიმე თვის წინ ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო.

აღსანიშნავია, რომ თარგამაძეზე უფლებები დონეცკის შახტარს ეკუთვნის, მაგრამ ამ გუნდში ქართველმა ფორვარდმა თავი ვერ დაიმკვიდრა, ამიტომ მისი დონეცკში დაბრუნება რთულად წარმოსადგენია.

ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას თარგამაძე, რომელიც ერთი პერიოდი ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლებოდა.

## რეალი ნეიმარს არ ეშვება



მადრიდის რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ნეიმარზე ფიქრს არ ეშვება. მან უკვე ბევრჯერ მიიღო უარი როგორც ფეხბურთელის, ასევე ბარსელონის ხელმძღვანელობისგან, მაგრამ რეალი იოლად დანებებას არ აპირებს.

მადრიდელებმა ამჯერად სატრანსფერო თანხას მოუმატეს და ისინი მზად არიან, ნეიმარში 190 მილიონი ევრო გადაიხადონ.

რეალი თვითონ ნეიმართან ცალკე აწარმოებს მოლაპარაკებას, მაგრამ ბრაზილიელი ფორვარდი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს, ბარსელონა კი ნეიმარის გაშვებას არ აპირებს.

## რატომ ვერ მივიდა სოფი ლორენი საპატრიარქოში



თბილისში ქველმოქმედებაში მონაწილეობისთვის ჩამოსულ მსოფლიო ვარსკვლავ სოფი ლორენს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ათასობით თაყვანისმცემელი დახვდა. მსახიობმა ავტოგრაფები დაარიგა და გულითადად მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას.

მსახიობი თბილისში ნინო სურგულაძის მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ფონდ „ნატვრის ხის“ მიერ გამართულ მსოფლიო პრემიერაზე დასასწრებად საპატიო სტუმრის სტატუსით ჩამოვიდა. ორკესტრს მისი შვილი კარლო პონტი დირიჟორობდა. საპრემიერო წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ნინო სურგულაძე, ნინო ანანიაშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის ორკესტრი და საბალეტო დასი.

სოფი ლორენი შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან შეხვედრა კი ვერ შეძლო.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მსოფლიო კინოვარსკვლავმა სოფი ლორენმა განაცხადა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს არ შეხვდებოდა.

– მსგავსი შინაარსის განცხადება სოფია ლორენს არ გაუკეთებია, მეტიც, მან ბოდიში მოიხადა დაგეგმილ შეხვედრაზე ვერმისვლის გამო. მსახიობი დილით, გამთენიისას, დაგვიანებით შესრულებული რეისით ჩამოფრინდა, რომელიც თითქმის 2 საათი ტურბულენტურ ზონაში იყო, რის გამოც სოფია ლორენი თავს შეუძლოდ გრძნობდა და მის უწმინდესობასთან შესახვედრად საპატრიარქოში მისვლა ვერ შეძლო, – ნათქვამია ფონდის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მსახიობი 81 წლის არის. პრემიერი პირადად მივიდა ვარსკვლავის მოსანახულებლად „რუმს ჰოტელში“. სოფი ლორენს ოპერაში საპატრიარქოს წარმომადგენლები შეხვდნენ და მას პატრიარქის მიერ გაგზავნილი საჩუქარი, თამარ მეფის ჯვრის ანალოგი გადასცეს.

– მსახიობმა საპატრიარქოს წარმომადგენლებს არშემდგარი შეხვედრის მიზეზი პირადად გააცნო და მის უწმინდესობას ბოდიში მოუხადა. სოფია ლორენის თქმით, ის აუცილებლად შეხვდება პატრიარქს სხვა დროს, რადგან მის შესახებ ბევრი სმენია და სურს, პირადად გაიცნოს. მსახიობმა აღნიშნა, რომ პატრიარქის მიერ ნაჩუქარ ჯვარს ამ დღიდან დიდი სიყვარულით ატარებს. გავრცელებული ინფორმაცია კი არის დეზინფორმაცია, რომელიც ფონდ „ნატვრის ხისა“ და მისი უწმინდესობის იმიჯის შებღალვას ემსახურება, – ნათქვამია ფონდის განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## თბილისის დინამომ ხორვატი ფეხბურთელი დაიმატა



თბილისის დინამომ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი დაიმატა. ამჯერად დინამოს მაისური ხორვატმა მცველმა მატია შპიჩიჩმა მოირგო, რომელიც 28 წლის არის და ბევრ სხვადასხვა კლუბში უთამაშია.

მატია წლების განმავლობაში ზაგრების დინამოს ღირსებას იცავდა, ხოლო 2013 წელს ის რუსეთში ნოვოსიბირსკის სიბირში გადავიდა, სადაც გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. გარდა ამისა, შპიჩიჩს უკრაინასა და აზერბაიჯანშიც აქვს ნათამაშევი.

თბილისის დინამო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სერიოზულად ემზადება და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 2. ქვის ბოძებზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 4. ცხარე საწებელი; 5. მარნეულის ძველი სახელწოდება; 8. მკბენარა მწერი; 9. სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე ცეკვაში; 10. პროფესიული მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 12. სრული მარცხი, კრახი; 13. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკის სამხედრო საზღვაო-საჰაერო ბაზა; 15. უძრავი ქონების დროებით დაქირავება.

**თარაზულად:** 1. ქართული ხალხური საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 6. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 7. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. ეკლესია-მონასტრისთვის შემოწირულთა სარეგისტრაციო დავთარი ძველად; 13. ჰოლანდიური ყველი; 14. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 16. ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 17. ქართული ძილისპირული; 18. იტალიელი მოდელიორი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი